საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№ 24 (9855) 2025 წლის 19 თებერვალი, ოთხშაბათი

ფასი 1,5 ლარი

თეიმურაზ ქორიძე

დონალდ ტრამპი:

2

ეს უაზრო ომი უნდა დამთავრდეს!

ზელენსკის საკუთარი ტრაგიკული გამომეტყველება, სიმბოლური ჩაცმულობა და ვერც „ევროპელი მეგობრების“ ფარისევლური მხარდაჭერა ვერაფერს უშველის – იგი უეჭველად გასამართლდება და უსასტიკესად დაისჯება თავისი ხალხის, სამშობლოს ღალატის გამო!

აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები,

6–7

რომელთა დაბეჭდვაც, ლეგენდარული აქტიორის ანდერძის მიხედვით, მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ გახდა დასაშვები!

კახა კალაძე:

4

არავის მივცემთ უფლებას, საქართველო ბრძოლის ველად გამოიყენოს!

ვახტანგ ვეფხვაძის

10

უძვირფასესი საჩუქარი მკითხველს

პუტინმა გაიმარჯვა?

5

ანუ ტრანს-ატლანტიკური პარტნიორობის დასასრული



გელა ქოქიაშვილი:

გიორგი ჩუბინიშვილის რომანსებს დიდი წარმატებით მღერიდნენ

დონალდ ტრამპი:

ეს უაზრო ომი უნდა დამთავრდეს!

არამითარი ირონია — უბრალოდ, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ერთ არცთუ უმნიშვნელო გარემოებას: შორეული ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვებისა და ამ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებების დაწყების შემდეგ ასევე რადიკალურად შეიცვალა მშობლიური ქართველი რადიკალების ლოზუნგები. თუ ტრამპამდე მათი მთავარი მოწოდება „რუსი მტერია“ იყო, ბოლო დროს იგი „ძირს ივანიშვილის რეჟიმმა“ და „თავისუფლება პოლიტპატიმრებს“ შეცვალა.

უფრო გასაგებად რომ ვთქვა, „რეჟიმად“ მოიხსენიება ამომრჩეველთა უმრავლესობით არჩეული ხელისუფლება, რომელიც რადიკალებს, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ყველანაირი დასაშვები და დაუშვებელი „გულაობის“ საშუალებას უტოვებს; „პოლიტპატიმრები“ კი არიან ადამიანები, პარლამენტის შენობაში შეჭრას რომ ლამობენ, პოლიციელებს ქვებს და „მოლოტოვის კოქტეილებს“ უშენენ, მათ მოთხოვნებს დემონსტრაციულად არ ემორჩილებიან და მათთვის სახეში სილის გაწვნასაც არ ერიდებიან.

ცვლილებები კი საერთაშორისო სარბიელზე მართლაც შთამბეჭდავია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამის კლასიკური მაგალითი რუსეთ-უკრაინის ომისადმი დამოკიდებულებაა.

გავბედავ, შეგახსენოთ, რომ **ზუსტად სამი წლის წინ, ამ ძმათამკვლელი ომის დაწყებამდე და მის შემდეგაც, ბევრი ქართველი ანალიტიკოსი და ჟურნალისტი, მათ შორის მეც, ხშირად ვიმეორებდით, რომ ეს იყო დღემდე საიდუმლოებით მოცული „ომის პარტიის“, იმავე დიფ სთეითის, უბოროტესი ავანტიურა. მას არავითარი კავშირი არ ჰქონია და არა აქვს „სამართლიანობის აღდგენასთან“. უფრო პროზაულად — რუსეთ-უკრაინის ომი ემსახურება და ემსახურება ძლევამოსილი საიდუმლო მსოფლიო კლანის უსაზღვრო გამდიდრებას იარაღით, საბრძოლო მასალებით ვაჭრობისა და შემდეგ დანგრეულ-გაპარტახებულ უკრაინაში (ნაწილობრივ — რუსეთშიც) აღდგენითი სამუშაოების ხარჯზე. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ეს „აღდგენითი სამუშაოები“ უკრაინელ და რუს ხალხებს ტრილიონობით დოლარი და თავიანთ ქვეყნებზე ძლევამოსილი ბრიტანულ-ამერიკული გავლენების დამყარების ფასად დაუჯდებათ.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი „წვრილმანი“ — მე, ევროპის უცნობი განაპირა ქვეყნის „ვიღაც ჟურნალისტმა“ და სიმბოლური უფროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდების მატარებელმა მოქალაქემ, თითქმის ასპროცენტიანი ალბათობით ვიწინასწარმეტყველე უკრაინის ტერიტორიული დაქუცმაცებისა და ამ ქვეყნის რუსეთთან ომში ჩამორევი ხელისუფლების, პირადად ვოლოდიმირ ზელენსკის გასამართლების გარდუვალობა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ — **ზელენსკის საკუთარი ტრაგიკული გამომეტყველება, სიმბოლური ჩაცმულობა და ვერც „ევროპელი მეგობრების“ ფარისევლური მხარდაჭერა ვერაფერს უშველის — იგი უეჭველად გასამართლდება და უსასტიკესად დაისჯება თავისი ხალხის, სამშობლოს ღალატის გამო. თანაც, აშკარა, დემონსტრაციული ღალატისა.**

ქართველი რადიკალების ერთსულოვანი შეფასებით, „ივანიშვილის რეჟიმი“ ანუ საქართველოს ხელისუფლება ცთუნებას რომ აჰყოლოდა და რუსეთ-უკრაინის ომში თუნდაც სიმბოლურად ჩარეულიყო, დღეს დამოუკიდებელი საქართველო, საერთოდ, არ იარსებებდა. სამაგიეროდ, „მეგობარ უცხოეთში“ გადაბარგებული რადიკალური ოპოზიციის „ვერხუშკა“, იგივე კოლექტიური გვარამია დიდი ფულით და „პატრიოტის“ საპატიო ტიტულით დაჯილდოვდებოდა.

ბუნებრივია, მათივე ყალბი დაპირებებით ქუჩაში გატყუებული და მსხვერპლად შეწირვისთვის განწირული საზოგადოება, განსაკუთრებით, გულუბრყვილო ახალგაზრდობა, ვერაფერს მიიღებდა, მათ შორის — ვერც უცხოეთში გახიზვნის შესაძლებლობას.

2025 წლის თებერვალში კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს ხელისუფლების ქართული ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკის აშკარა მიუღებლობა ჩვენი სანატრელი ევროკავშირისათვის. სამაგალითოდ, მოდი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ კაია კალასისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ მარტა კოსის ერთობლივ (გვარამია-სალო ბაბოს კარნახით დაწერილ) განცხადებას:

„...საქართველოს ხელისუფლება განსხვავებული აზრის ჩასახშობად დაშინების ტაქტიკასა და ძალადობას მიმართავს. მშვიდობიანი საპროტესტო აქციების მონაწილეები, ჟურნალისტები და ოპოზიციონერი პოლიტიკოსები თავიანთი ფუნდამენტური უფლებების განხორციელების გამო დევნის სამიზნე გახდნენ. დაკავებული ჟურნალისტის, მზია ამაღლობელის საქმე კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ექცევა ხელისუფლება ჟურნალისტებს და ყველას, ვინც აზრს თავისუფლად გამოხატავს. მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, გაათავისუფლოს ყველა უსამართლოდ დაკავებული ჟურნალისტი, აქტივისტი და პოლიტიკური ნიშნით დაკავებული; უზრუნველყოს დიალოგი ყველა პოლიტიკურ ძლასთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან...“

ევროკავშირის უმაღლესი ჩინების კრიტიკას როგორ გავგებდავ! მხოლოდ უაღრესი მოკრძალებით შევნიშნავ, რომ ამ ქალბატონებმა და კიდევ ძალიან ბევმა ჩვენმა ევროპელმა მეგობარმა არ იცის, რას ნიშნავს ცნება „ჟურნალისტი“; არ იცის, რა დანაშაულის გამო დააპატიმრეს ქალბატონი მზია ამაღლობელი; არ იცის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები „მრგვალ მაგიდასთან“ ადამიანურ შეხვედრებსა და საკამათო საკითხებზე სასაუბროდ ვერა და ვერ დაითანხმა; რომ ოპოზიციონერი დეპუტატების დიდმა უმრავლესობამ დემონსტრაციულად შეაფურთხა თხა საპარლამენტო მანდატებს და საკუთარ ამომრჩეველთა ნდობასაც...

კიდე კაი, პატივცემულმა ევროპარლამენტის წევრებმა და იმათ მხარდამჭერმა ქართველმა რადიკალმა პოლიტიკოსებმა ქართულად წერა-კითხვა არ იციან, თორემ დასანქცირებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ ერთად, მეც ვერ გადავურჩებოდი. მართალია, უახლოესი ოცდაათი წლის განმავლობაში უცხოეთში მოგზაურობას არ ვაპირებ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ასეთი უყურადღებობა მაინც მწყინს.

თავს მხოლოდ იმით თუ ვინუგეშებ, რომ მშობლიურმა ევროკავშირმა ამ ბოლო დროს მისი არაწევრი საქართველოს მიმართ მორიგი, თუ არ ვცდები, უკვე მეექვსე ეგრეთ წოდებული „არასავალდებულო რეზოლუცია“ გააშაწშალა და ამით მისი ავტორ-შემდგენელი ქართული რადიკალური კლანი კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა.

ამას ზედ დაერთო გასულ კვირაში მიუნხენში გამართული რიგით 61-ე უსაფრთხოების კონფერენცია, რომელსაც მსოფლიოს 60-მდე ქვეყნის ლიდერი და ასეულობით სხვა წარმომადგენელი ესწრებოდა. სამდღიანი კონფერენციის ფარგლებში გაიმართა მაღალი დონის დებატები საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად გამოწვევებზე; გლობალური მმართველობის, დემოკრატიული მედეგობის, კლიმატური უსაფრთხოებისა და სხვა საკითხებზე.

ბუნებრივია, კონფერენციაზე უდიდესი ყურადღება დაეთმო რუსეთ-უკრაინის ომს. კონფერენციას არ ესწრებოდა რუსეთის დელეგაცია. სამაგიეროდ, ესწრებოდა ამ ომით განადგურებული უკრაინის დელეგაცია და გამარჯვებულის მანტიით მოსილი მისი უმამაცესი პრეზიდენტი ზელენსკი. მანაც დაწვრილებით და არტისტულად ისაუბრა უკრაინის პრობლემებზე, უახლოეს მომავალში მის გაბრწყინებაზე, რუსეთის უეჭველ დამარცხებაზე და „მეგობარი“ ქვეყნების მხრიდან დახმარებების აუცილებლობაზე.

ძნელი სათქმელია, ზელენსკის მოთხოვნებთან დაკავშირებით რას მოიმოქმედებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები. ის კი ცხადზე უცხადესია, რომ არანაკლებ მეგობარი აშშ უკრაინასთან და, მით უფრო - რუსეთთან, გუშინდელი ურთიერთობების გაგრძელებას აღარ აპირებს. ეს დაადასტურა კონფერენციაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მარკო რუბიოს გამოსვლამაც. მისი თქმით, ევროკავშირმა, აშშ-მა, რუსეთმა და უკრაინამ ამ ომის რაც შეიძლება მალე დამთავრებაზე უნდა იზრუნონ.

შეიძლება ითქვას, რომ მარკო რუბიომ დიპლომატიურ ენაზე გაიმეორა პრეზიდენტ ტრამპის მიერ ორიოდე დღით ადრე საკმაოდ რადიკალურად გამოთქმული ულტიმატუმი რუსეთ-უკრაინის ომის ინსპირაციაზე, ამ ომის შედეგებისთვის უკრაინის, რუსეთისა და თვით ევროკავშირის პასუხისმგებლობასა და, რაც მთავარია, მის მოსალოდნელ შედეგებზე უკრაინის სახელმწიფოსთვის. კერძოდ, უკრაინის მხრიდან ტერიტორიებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების შესაძლო დათმობებზე რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ. მოკლედ, არაფერი სანუგეშო უკრაინისა და პირადად ზელენსკისთვის.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტი ტრამპი კონფერენციის დაწყებამდე პირადად ესაუბრა პრეზიდენტ პუტინს. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ ეს საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი იყო ძალიან შინაარსიანი, საინტერესო და სასარგებ-

უკრაინასთან დაკავშირებით დღეს ხდება ზუსტად ის, რისი წინასწარმეტყველება სამი წლის წინათაც დიდი პრობლემა ნამდვილად არ ყოფილა – ჩვენი „რუსეთუმეობისა“ თუ „ანტირუსობის“ მიუხედავად ბოლოს და ბოლოს უნდა დავიჯეროთ, რომ რუსეთის უზარმაზარი იმპერიის სამხედრო ძალით დამარცხება შეუძლებელია და ეს ჭეშმარიტება ისტორიამ უკვე ბევრჯერ დაადასტურა!

ლო, როგორც ორივე ქვეყნის, ისე დანარჩენი კაცობრიობისთვის. ტრამპის განცხადებით, იგი კარგად იცნობს პრეზიდენტ პუტინს, პატივს სცემს და ენდობა მას და მზადაა, გააგრძელოს მასთან თანამშრომლობა მსოფლიოში მშვიდობიანი თანამშრომლობის დასამკვიდრებლად, ატომურ შეიარაღებაზე ხარჯების შესამცირებლად. დაახლოებით იგივე გაიმეორა პრეზიდენტმა პუტინმაც. გაგიკვირდებათ და, ვაშაძე, ნათელაშვილი, სააკაშვილი და თვით ბატონი თენგოც კი არცერთს არ უხსენებია!

სამაგიეროდ, ტრამპი უახლოეს მომავალში ჩინეთისა და რუსეთის პრეზიდენტებთან უშუალო შეხვედრებს გეგმავს.

სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში პრეზიდენტი ტრამპი ამასაც წერს: **„ახლახანს ვესაუბრე უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის. საუბარი ძალიან კარგად წარიმართა. მას, ისევე, როგორც პრეზიდენტ პუტინს, სურს მშვიდობის დამყარება. განვიხილეთ ომთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. თუმცა, ძირითადად ვისაუბრეთ მიუნხენში დაგეგმილ შეხვედრაზე, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი და სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო უხელმძღვანელებენ. იმედი მაქვს, ამ შეხვედრის შედეგები პოზიტიური იქნება. დროა, შეწყდეს ეს აბსურდული ომი, რომელმაც მასობრივი მსხვერპლი და ნგრევა მოიტანა.“**

ალბათ, საინტერესოა აშშ-ის თავდაცვის მინისტრის პიტ ჰეგსეტის „გარდიანის“ მიერ გავრცელებული განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ომის დასამთავრებლად, უკრაინას ტერიტორიების დათმობა და ნატოში გაწევრიანების ოცნებასთან დამშვიდობება მოუწევს; რომ **უკრაინის 2014 წლამდელ საზღვრებში დაბრუნება არარეალისტურია; რომ ტრამპის გეგმით, უკრაინაში უნდა განლაგდნენ არა ნატოს, არამედ შერეული ევროპული ძალების მშვიდობისმყოფელები. ხოლო პუტინი ითხოვს ბოლომდე აღმოიფხვრას ის მიზეზები, რის გამოც ომი დაიწყო — მოხდეს უკრაინის სრული დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია.**

მოკლედ, **უკრაინასთან დაკავშირებით დღეს ხდება ზუსტად ის, რისი წინასწარმეტყველება სამი წლის წინათაც დიდი პრობლემა ნამდვილად არ ყოფილა — ჩვენი „რუსეთუმეობისა“ თუ „ანტირუსობის მიუხედავად ბოლოს და ბოლოს უნდა დავიჯეროთ, რომ რუსეთის უზარმაზარი იმპერიის სამხედრო ძალით დამარცხება შეუძლებელია და ეს ჭეშმარიტება ისტორიამ უკვე ბევრჯერ დაადასტურა; რომ ევროკავშირის ქვეყნები, თვით აშშ თუ ჩინეთი მოქმედებდნენ, მოქმედებენ და იმოქმედებენ მხოლოდ საკუთარი და არა ქართული რადიკალების ინტერესებიდან გამომდინარე.**

თუ ჩემი არ გჯერათ, აგერაა, ბატონო მსოფლიოში სახელგანთქმული „პოლიტიკოსი“ ხაზარაძე, გუშინდელი დაუოკებელი ანტირუსი, დღეს რომ რუსეთთან ჩახუტება-დამეგობრებისკენ მოგვიწოდებს!

✠ ✠ ✠

დავუბრუნდეთ მიუნხენის შეხვედრას. მეგობარი ევროკავშირის ინიციატივით, საქართველოს „ურჩი“ ხელისუფლება კონფერენციაზე მიწვეული არ ყოფილა. სამაგიეროდ, მიწვეული იყო მარადიულად გალეგიტიმურებული ქალბატონი სალომე თავის „შპანასთან“ ერთად. რასაკვირველია, სიტყვითაც გამოვიდა: „ჩვენ მშვიდობიანი მოსახლეობა გვყავს, რომელიც იაზრებს, რა გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში ვართ. ჩვენი გზა და ხალხის სწრაფვა არის დიქტატურის დამარცხება. ჩემი როლი არსებული პოლიტიკური პარტიების კონსოლიდირებაა და არამარტო არსებული პარტიების. ქუჩის პროტესტი არის სივრცე ახალი პოლიტიკური ძალების შექმნისთვის. რეჟიმი ამის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობს. მათ ძალიან უნდათ, რომ პროტესტი პარტიების მიერ იყოს ორგანიზებული, მათ დააკისრონ პასუხისმგებლობა და დაიჭირონ ეს ხალხი, მაგრამ პროტესტს აქვს შემოქმედებითი მიდგომები, მას არ ჰყავს ორგანიზატორი და ლიდერი. არც მე ვარ ასეთი. მეც მხარდამჭერი ვარ“ ქართველ ხალხს უნდა, რომ ხედავდეთ და მოუსმინოთ მას. დიქტატურის დამარცხების რეცეპტი არავის მოუგონია, ჩვენი სტრატეგია წინააღმდეგობაა. ზოგიერთი ჩვენი პარტნიორი ფიქრობს, რომ შეიძლება რაღაც ისეთის გაკეთება, რაც გააჩერებს „ქართულ ოცნებას“ რუსეთისკენ მიმავალ გზაზე და დააბრუნებს ევროპისაკენ. ადამიანები ელოდებიან, რომ ითქვას (დასავლეთიდან) სიმართლე და ჩვენ ვიცით, რომ დანარჩენზე ჩვენ თვითონ უნდა ვიმუშაოთ, არავინ ელოდება ინტერვენციას. თუმცა, რა დაფინანსებაც იყო მთავრობისთვის გამოყოფილი, უნდა გადატანილ იქნას სამოქალაქო საზოგადოებაში...“

ვიცი, ამ მიეთმოეთის კომენტირება უაზრობაა და ამას არც ვაპირებ. უბრალოდ, ყურადღება მიაქციეთ – უსასტიკესი დიქტატორული რეჟიმის მსხვერპლი კიდევ ერთი მარადიული პრეზიდენტი (მთავარი „მარადიული“ ვივამედის კლინიკაში კოტრიალებს!) მთელ მსოფლიოში უპრობლემოდ „გულაობს“ და ევროპელი „მეგობრებისგან“ ფინანსურ დახმარებას ითხოვს. თანაც — ქართველი ხალხის ხარჯზე!

აღარაფერს ვამბობ გასამარადიულებლად გამზადებულ დიდ ლიდერ გიორგი გახარიაზე, რომელიც აგრეთვე მიწვეული იყო მიუნხენის კონფერენციაზე, თვით ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბაიბა ბრაჟესაც შეხვდა და როგორც თვითონვე ბრძანა, „საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კრიზისსა და უსაფრთხოების გამოწვევებზე“ ესაუბრა.

რაღა გვეთქმის, თუ ახლა სოფო ჯაფარიძე და ლევან ხაბეიშვილი ლიეტუვის ან ესტონეთის რომელიმე მინისტრს შეხვდნენ, საქართველო გადარჩენილია!

თეიმურაზ ქორიძე
17. 02. 2025

შალვა პაპუაშვილი:

ფარისევლური თვალსაზრისი

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ზოგიერთი ევროპული ლიდერის მკაფიო გზავნილები მოვისმინეთ, რომ ომის პოლიტიკური არსი უკრაინას კი არა, რუსეთს შეეხება. ჩანს, რომ მათ იმდენად უკრაინის ბედი კი არ აწუხებთ, რამდენადაც რუსეთის დამარცხება სურთ. თუმცა, ამ შიშნარევი თვალსაზრისის ძირითადი ფარისევლური არსი ისაა, რომ რუსეთი მათ კი არ უნდა დაამარცხონ, არამედ ვიღაც სხვამ და არა მათ საკუთარ ტერიტორიაზე, არამედ სადღაც სხვაგან, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

— ამიტომაცაა, რომ უკრაინასთან დაკავშირებით აშშ-ის აღმინისტრაციის პოზიციამ გაოგნება გამოიწვია ევროპის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეში. ვაშინგტონმა გამოხატა პოზიცია, რომ მისი მთავარი მიზანი მშვიდობა და ომისა და ნგრევის შეჩერებაა. ავად თუ კარგად, ამერიკის ძირითად მიზანს რუსეთის დამარცხება უკვე აღარ წარმოადგენს (თუკი ოდესმე წარმოადგენდა) და შეერთებული შტატების აღმინისტრაცია არ აპირებს ამ მიზნის მისაღწევად ძალისხმევა გააგრძელოს. სანაცვლოდ, აშშ უკრაინაში მშვიდობაზე იზრუნებს.

ლიეტუვის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ლანდსბერგისი, რომელიც პოლიტიკოსების კონკრეტული საერთაშორისო ქსელის სახელით საუბრობს, ამ ვითარებით განსაკუთრებით აღშფოთებული ჩანს. ჩერჩილის პერიფრაზირებით, მან საერთაშორისო თანამეგობრობას ომის გაგრძელება ურჩია და „სისხლი, წვალება, ცრემლი და ოფლი“ შესთავაზა. თუმცა, ჩერჩილისგან განსხვავებით, მან ეს ყველაფერი არა საკუთარი ქვეყნისთვის, არამედ სხვებისთვის იგულისხმა.

მან ასევე ჩამოთვალა ის ქვეყნები, რომლებიც მხედველობაში ჰქონდა: უკრაინა, მოლდოვა, საქართველო და „სხვანი“. „ჩვენ ეს ადრეც გვიქნია და კვლავაც ვიზამთ“, განაცხადა ლანდსბერგისმა, ისე, რომ ფაქტიც კი არ წარმოუდგენია, რომ ოდესმე მართლაც გაუკეთებია მსგავსი რამ ან მომავალში აპირებს.

საინტერესოა, რომ მისი მინისტრობის პერიოდში, უკრაინაში ომის პარალელურად, ლიეტუვა რუსეთში ღვინის წამყვანი ექსპორტიორი გახდა, თანაც ისე, რომ საკუთარ ღვინოს არ აწარმოებს. რა გასაკვირია, რომ ლანდსბერგისი მზადაა ესკალაციისათვის.

ომი უკრაინაში მორალურ დილემას წარმოშობს ზოგიერთი ევროპელისთვის. შინაგანად მათ უნდა ესმოდეთ, რომ ომის გაგრძელებისკენ მოწოდებები, ქმედითი ნაბიჯებისა და პასუხისმგებლობის აღების გარეშე ამორალურია. უპასუხისმგებლო მოქმედი პირები კი საფრთხეს წარმოადგენენ ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურისათვის.

თუკი ვინმე „სისხლს, წვალებას, ცრემლებსა და ოფლს“ გვთავაზობს, ეს მათი საკუთარი უნდა იყოს და არა სხვისი. ნატოს მე-5 მუხლი სულაც არ უშლის ვინმეს ხელს, საკუთარი ინიციატივით, სამხედრო ქმედებებს მიმართოს. თუ ვინმეს სურს, თავი გამოიჩინოს საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში, მათ ჯარს უკრაინელები სიამოვნებით მიიღებენ ბრძოლის ველზე.

უკრაინაში ომის დაწყების დღიდან საქართველოს მთავრობას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა არ დაჰყოლოდა, უკრაინაში მოხალისეების გაგზავნით თუ რუსეთზე ორმხრივი სანქციების დაწესებით, რუსეთან ესკალაციის „რჩევებს“. თანაც ისე, რომ, გართულების შემთხვევაში, არც უსაფრთხოების გარანტიებს და არც ეკონომიკური დახმარებას გვთავაზობდა ვინმე.

ეს წნეხი უფრო გააძლიერა ადგილობრივმა რადიკალურმა პარტიებმა და არასამთავრობოებმა, რომლებსაც USAID და NFD აფინანსებდა, რომელთა საქმიანობა ბოლო კვირებში სკანდალის საფუძველი გახდა. საქართველოს მთავრობა ამ „რჩევებს“ რომ დაჰყოლოდა, ახლა ქართველებს უხვად ექნებოდათ „სისხლიც, წვალებაც, ცრემლიც და ოფლიც“.

ომის დაწყების მესამე წლისთავზე ინიცირებული მოლაპარაკებების მიზანი მშვიდობა უნდა იყოს და არა ომი და მას პასუხისმგებლიანი სახელმწიფოები უნდა წარუძღვნენ და არა ისინი, ვისაც სხვის ხარჯზე სურს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება.

P.S. ლანდსბერგისთან და მის ბალტიელ კოლეგებთან ბოლო შეხვედრისას, მე მათ ვუთხარი, რომ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათი რჩევა ყოველთვის არ წარმოადგენს ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციას. და იქვე ვკითხე, გვიჩვენა თუ არა დრომ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთზე ორმხრივი სანქციების დაწესებაზე და საჰაერო სივრცის ჩაკეტვაზე უარი, რომელსაც ისინი ნატოს არაწევრ საქართველოს ''ურჩევდნენ“, სწორი იყო, ხოლო მათი ''რჩევები“ — შეცდომა. მათ დუმილით მიპასუხეს, რაც მე თანხმობად მივიღე...“

17 თებერვლის ციტატა

„კეთილი ბიძიების“ სია

როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გამომიცხადა ნდობა და დავინიშნე იუსტიციის მინისტრად, მაშინ სამინისტროში დამხვდა სია, შედგენილი ბატონი ზურა ადეიშვილის მიერ და ამ სიას მოფერებით საჯარო მოხელეები ეძახდნენ „კეთილი ბიძიების“ სიას, _ განაცხადა „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებით საგამოძიებო კომისიის“ ხელმძღვანელმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თეა წულუკიანმა კომისიის 17 თებერვლის სხდომაზე.

მისივე თქმით, კეთილ ბიძიაში იგულისხმებოდა ის ბიზნესმენი, რომელიც ვითომდა ნებაყოფლობით მივიდოდა სამინისტროში და გადაწყვეტდა, რომ ესა თუ ის თავისი ქონება ეჩუქებინა სამინისტროს გამოყენებისათვის.

„სიასაც ასე ერქვა, დაცინვით, რა თქმა უნდა. ესეც მახასიათებელია რეჟიმის, რომ აღამიანს აუბედურებ, აიძულებ და კიდევ იქით დასცინი“...

ამერიკისა და ევროკავშირის დღევანდელი ურთიერთობა არცთუ ისე სახარბიელოა

განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილემ ლევან მაჭავარიანმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

მან მაგალითად მოიყვანა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის და მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ილონ მასკის განცხადებები, რომლებიც ევროკავშირის უსამართლოდ მოქცევაზე და გაერთიანების წევრი ქვეყნების მიერ საკუთარი სუვერენიტეტის განმტკიცების აუცილებლობაზე საუბრობენ. ასევე, გაიხსენა ვიცეპრეზიდენტს ჯეი დი ვენსის გამოსვლა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე.

მაჭავარიანის თქმით, იმედია, რომ „დიფ სთეითთან“ ტრამპის ბრძოლის ტენდენცია გადავა ევროპაზეც და საბოლოო ჯამში, ევროკავშირი თავის ღირებულებებს დაუბრუნდება.

„ბატონი ტრამპი აცხადებს, რომ ევროკავშირი იქცევა ამორალურად და უსამართლოდ, მასკი აცხადებს, რომ ჭარბი გავლენებია ბრიუსელის დემოკრატების ხელში, რომელსაც თავის მხრივ, მფარველობს ჯორჯ სოროსი და მოუწოდებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს გათავისუფლდნენ ამ გავლენებისგან და წინა პლანზე წამოაყენონ თავიანთი ქვეყნის სუვერენიტეტი. ამ ყველაფრის შეჯამება იყო, როდესაც ვენსი გამოვიდა მიუნხენის კონფერენციაზე სიტყვით, სადაც მან პირდაპირ ფაქტებით და მტკიცებულებებით ჩაუტარა დემოკრატიის ლექციები ევრობიუროკრატებს და აღნიშნა, რომ სერიოზული დემოკრატიული უკუსვლაა ევროპაში და ევროპა სცილდება იმ ღირებულებებს, რაზეც ევროპა დგას და რატომაც მივისწრაფვით ჩვენ ევროკავშირისაკენ.

იქ საუბარი იყო ძალიან სამწუხარო ფაქტზე, რომელიც დაფიქსირდა რუმინეთში, როდესაც სასამართლოს გააუქმებინეს არჩევნების შედეგები, იქიდან გამომდინარე, რომ ბრიუსელს არ აწყობდა კანდიდატი,რომელმაც პირველ ტურში გაიმარჯვა და რა თქმა უნდა, ეს არის სერიოზული დემოკრატიული უკუსვლა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვისურვებდით და ძალიან დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ როგორც დონალდ ტრამპმა დაიწყო ღია ბრძოლა „დიფ სთეითთან“, ეს ტენდენცია გადავა ევროპაზეც და ევროპაც გათავისუფლდება ამ ჭარბი გავლენებისგან და საბოლოო ჯამში, ევროკავშირი დაუბრუნდება იმ ღირებულებებს, რომლის გამოც ასეთ დიდ პატივს ვცემთ.“ - განაცხადა ლევან მაჭავარიანმა.

არავის მივცემთ უფლებას, საქართველო ბრძოლის ველად გამოიყენოს!

„არავის არ სჯეროდა, როცა გლობალურ ომის პარტიაზე ვსაუბრობდით. ახლა კი დონალდ ტრამპი ამბობს, რომ „დიფ სთეითი“, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს გადგმული აშშ-სა და ევროპაში, უნდა დამარცხდეს“, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა მედიასთან ევროპული სამეზობლო საბჭოს მრჩევლის, ტერე ჰელანდის განცხადებების შეფასებისას ისაუბრა.

კახა კალაძის თქმით, ხელისუფლება ყოველთვის დაიცავს ქვეყნის სუვერენიტეტს და არავის არ მისცემს შესაძლებლობას, საქართველო ბრძოლის ველად გამოიყენოს.

სანამ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, მინდა ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ იცოდეს ერთი რამ — ყოველთვის გამოვდივართ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ ყოველთვის დავიცავთ ჩვენს სამშობლოს, დავიცავთ ქვეყნის დამოუკიდებლობას, კიდევ უფრო განვამტკიცებთ ქვეყნის სუვერენიტეტს. ეს არის ის ყველაფერი, რისთვისაც ჩვენმა წინა თაობებმა იბრძოლეს, სისხლი დაღვარეს, რათა ქვეყანა დამოუკიდებელი ყოფილიყო და არა კონკრეტულ ადამიანზე ან თუნდაც ევროპულ სახელმწიფოებზე დამოკიდებული. ამ დამოუკიდებლობას გაფრთხილება, განმტკიცება, გაძლიერება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სჭირდება. არავის არ მიეცემა შესაძლებლობა, საქართველო გამოყენებული იყოს ვინმეს ინტერესების გასატარებლად ან ბრძოლის ველად. ხედავთ უკრაინაში რა ხდება, რა პროცესები მიდის და როგორ დასრულდება ეს ყველაფერი, ცოტა მოგვიანებით ამასაც შევხედავთ. ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ, მტერს არ ვუსურვებ იმას, რაც უკრაინაში ხდება. შესაბამისად, ჩვენ მშვიდობის შენარჩუნება, ეკონომიკური გაძლიერება და იმ პოლიტიკის გაგრძელება გვჭირდება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ აირჩია“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

ამასთან, კახა კალაძემ კომენტარი გაკეთა ტერე ჰელანდის იმ განცხადებაზეც, რომელშიც საუბრობს, რომ აშშ აღარ არის ევროპის სანდო პარტნიორი.

დედაქალაქის მერის თქმით, ევროპელი ლიდერები სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ერევიან. რასაც აშშ-ის პრეზიდენტიც კარგად ხედავს და ამიტომაც საუბრობს „დიფ სთეითის“ დამარცხებაზე.

„აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი პირდაპირ საუბრობს იმ უმსგავსობებზე, რაც ევროპაში ხდება. რა თქმა უნდა, ამერიკისთვის მიუღებელია, როდესაც ევროპული ქვეყნის ლიდერები პირდაპირ ერევიან უცხო ქვეყნის არჩევნებში. რუმინეთში არჩევნები საერთოდ გააუქმეს იმის გამო, რომ შედეგები არ მოეწონათ. საქართველოში ჩატარდა არჩევნები, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მშვიდობას, განვითარებას. გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც ამ პოლიტიკას ახორციელებს და სწორედ ეს აღმოჩნდა მათთვის მიუღებელი. ნახეთ რა ტიპის განცხადებებს აკეთებენ, სამარცხვინოები არიან. როდესაც ტრამპი მათი მხრიდან ამ ტიპის ქმედებებს ხედავს, შესაბამის განცხადებებს აკეთებს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვადევნებთ თვალყურს, რომ „დიფ სთეითიძ დამარცხდეს. ყველა ხედავდა საქართველოსთან დაკავშირებით რა განცხადებები, შანტაჟი, სანქციებით მუქარა ხდებოდა. დღეს, სხვა მსოფლიოა, სხვანაირად მიდის პროცესები და კიდევ უფრო ცხადი გახდება საზოგადოებისთვის ის, რაზეც ჩვენ რამდენიმე წლის და თვის წინ ვსაუბრობდით. ჩვენი ხომ არავის სჯეროდა, როცა გლობალურ ომის პარტიას ვახსენებდით. ახლა კი დონალდ ტრამპი ამბობს, რომ „დიფ სთეითი“, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს გადგმული აშშ-სა და ევროპაში, უნდა დამარცხდეს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ნიკა გვარამიას მითითებით თვითნებურად იქნა გაჩერებული „მთავარი არხის“ მაუწყებლობა!

ზაზა ოქუაშვილის განცხადება

იმ დროს, როდესაც ერთი მხრივ საქართველოში მწვავე ვითარებაა და მეორე მხრივ, მე სასამართლო პროცესები მაქვს ლონდონსა და სტოკჰოლმში ივანიშვილისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ, ნიკა გვარამია მიზანმიმართულად დაგეგმილი მოქმედებებით იძულებულს მხდის დავკავდე საპასუხო განცხადებებით.

„მთავარი არხის“ გაჩერება ხდება გვარამიას მითითებითა და „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის თვითნებური, კანონგარეშე გადაწყვეტილებით და ჩემი დისკრედიტაციის მიზნით აქვეყნებენ განცხადებას, თითქოს ტელეკომპანია „მთავარ არხს“ ვაჩერებ.

„მთავარი არხის“ მაუწყებლობის შეჩერებასა და ამ განცხადების გავრცელებას წინ უძღოდა „მთავარი არხის“ შემოთავაზება: **რომ საწყისად 1 მილიონს გადაიხდიდნენ, სანაცვლოდ ჩემგან წარდგენილ დირექტორ გიორგი ჟურდაძეს ერთვნულ განაცხადსა და პროკურატურაში უნდა განეცხადებინა, რომ გაერკვა სიტუაციაში და აღარ ფიქრობს, რომ არხზე დანაშაულებებს ჰქონდა ადგილი. ამასთან, გიორგი ჟურდაძეს ხელი უნდა მოეწერა მათ მიერ შედგენილ კანონგარეშე დოკუმენტებზე. უარის შემთხვევაში ჩემს საწინააღმდეგო კამპანიას ახალი ძალით ააგორებდნენ.**

ჩემი, როგორც დამფუძნებლის მოთხოვნა დღესაც უცვლელია: **შეჩერდეს „მთავარ არხზე“ მიმდინარე კანონგარეშე ფინანსური ოპერაციებით თანხების მიტაცება, თაღლითობა, ფულის გათეთრება, შეიცვალოს გენერალური დირექტორი და ამ პოზიციაზე გიორგი გაბუნიას ნაცვლად პროფესიონალი და საზოგადოებისათვის სანდო პიროვნება აირჩეს. ნიკა გვარამიას მხრიდან „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის პოსტზე დასახელებული მისი მეუღლე სოფო ლილუაშვილი ჩემთვის არ არის მისაღები.**

ტელეკომპანია „მთავარმა არხმა“ შეუფერხებლად და კანონიერად უნდა განაგრძოს მუშაობა.

არხის არაფორმალური მმართველის ნიკა გვარამიას მითითებით, კანონმდებლობისა და „მთავარი არხის“ წესდების სრული დარღვევით თვითნებურად იქნა გაჩერებული „მთავარი არხის“ მაუწყებლობა, რაც ჩემი იურიდიული გუნდის — ბრიტანელი და ამერიკელი ადვოკატების — სამსჯელო გახდება.

მზია ამაღლობელმა შიმშილობა შეწყვიტა

ონლაინგამოცემების — „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა, მზია ამაღლობელმა შიმშილობა შეწყვიტა.

ამის შესახებ მან ციხიდან გამოგზავნილ წერილში დაწერა, რომელიც „ბათუმელების“ რედაქტორმა, ეთერ თურაძემ კლინიკა „ვივამედთან“ გამართულ ბრიფინგზე გააცნო საზოგადოებას.

პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები აირჩია

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებად **გიორგი ძაბანია** — 83 ხმით, **გიორგი ჭიქაბერიძე** — 83 ხმით, **დიმიტრი ჯავახაძე — 83** ხმით და **გიორგი ჯავახიშვილი 84** ხმით **აირჩია.**

პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, წარმოდგენილი კანდიდატების არჩევის შედეგად ცენტრალური საარჩევნო კომისია პროფესიული წევრებით სრულად დაკომპლექტდა.

„პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მზად არის ვლადიმერ პუტინის წინაშე შორსმიმავალი დათმობებისთვის. ევროპა შოკშია. აშშ-რუსეთის სამიტს საუდის არაბეთში (ერ-რიადში) მსოფლიოს გეოპოლიტიკური ბალანსის კარდინალურად შეცვლა შეუძლია“, - წერს კოლუმნისტი დირკ ემერიხი გერმანიის რადიო „დოიჩე ველეს“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „ტრანსატლანტიკური პარტნიორობის დასასრული, ანუ პუტინმა გაიმარჯვა?“.

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:

პუტინმა გაიმარჯვა?

ანუ ტრანსატლანტიკური პარტნიორობის დასასრული

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ხშირად ვფიქრობ 2023 წელს გამოცემულ წიგნზე სახელწოდებით **„აბადონი: ნაბიჯი უფსკრულისაკენ“.** ავტორები ჰანს-ულრიხ იორგესი და აქსელ ბორმბოიმენი წერენ 2025 წლის მსოფლიოზე: **დონალდ ტრამპი, რომელიც ისევ ირჩევენ აშშ-ის პრეზიდენტად, ქაიროში ხვდება ვლადიმერ პუტინს და აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპიდან თავისი ჯარები გამოჰყავს და ნატოს ტოვებს.**

სამაგიეროდ, ვლადიმერ პუტინი ხელს „უხსნის“ თავის ამერიკელ კოლეგას ჩინეთის საწინააღმდეგო მოქმედებებში. ორი უდიდესი ბირთვული სახელმწიფო ხელახლა ინაწილებენ მსოფლიოს და უარს აცხადებენ ყველანაირ ორგანიზაციებში და ალიანსებში მონაწილეობაზე, რომლებიც მათთვის მხოლოდ დაბრკოლებებად გადაიქცნენ. „მაგარი“ ბიჭები - დონალდ ტრამპი და ვლადიმერ პუტინი პლანეტაზე ყველაფერს თავიანთი სურვილებისამებრ წყვეტენ. გეცნოთ სიუჟეტი?

აშშ გლობალური წესრიგის კოორდინატთა სისტემას ცვლის

ის, რაც ორი წლის წინათ პოლიტიკური ტრილერის სახით იქნა ჩაფიქრებული, ძალიან ახლოს დგას რეალობასთან. მართალია, დღეს ჯერჯერობით აშშ ნატოშია და სამიტიც ქაიროში კი არა, ერ-რიადში იმართება, მაგრამ ყველა დანარჩენი ნაწილი აბსოლუტურ სიმართლეს ჰგავს: **მსოფლიოს მართამს არა კანონის ძალა, არამედ უძლიერესის უფლება.**

ამჟამინდელი მომენტისათვის შეერთებული შტატები წარმოუდგენელი დინამიკით ცვლის გლობალური წესრიგის კოორდინატთა სისტემას. ევროპა შოკირებულია. ევროპული სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურები პარიზში შეიკრიბნენ იმის განსახილველად, რაც მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე მოხდა აშშ-ის ინიციატივით. როგორც მოსალოდნელი იყო, ადექვატური ნაბიჯების გადადგმა ძნელი აღმოჩნდა - ევროკავშირში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: სამხედრო ხარჯების გაზრდაზე რომ არაფერი ვთქვათ, უკრაინაში სამშვიდობო ძალების გაგზავნის თაობაზე ევროკავშირში მკვეთრი უთანხმოება შეიმჩნევა.

ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი ღერძი — პარიზი-ბერლინი — უკვე დიდი ხანია შეფერხებით და არარიტმულად მუშაობს. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა და გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა საერთო ენა ვერა და ვერ გამონახეს. გარდა ამისა, სოციალ-დემოკრატ ოლაფ შოლცს თითზე ჩამოსათვლელი დღეები რჩება გერმანიის მთავრობის მეთაურის პოსტზე — 23 თებერვალს ბუნდესტაგის ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს და იგი, დიდი ალბათობით, თანამდებობას დატოვებს. პროგნოზების თანახმად, გერმანიის კანცლერი კონსერვატიული ქრისტან-დემოკრატიული კავშირის ლიდერი **ფრიდრიხ მენცი** გახდება. ასე რომ, ევროპაშიც პოლიტიკური სიტუაცია საკმაოდ არასტაბილურია — იქ, სადაც ერთიანობა და მტკიცე კურსი არ არსებობს, წარმატების მიღწევა დაბრკოლებებს აწყდება.

გაიმარჯვა თუ არა ვლადიმერ პუტინმა?

ერ-რიადის სამიტის შედეგები ჰიპოთეტური სცენარით შეიძლება ასე გამოიხატოს:

აშშ მოილაპარაკებს ჩარჩო-ხელშეკრულებაზე რუსეთთან და პილატე პონტოელივით „ხელებს იბანს“. უკრაინა მოლაპარაკების მაგიდასთან კი არ ზის, არამედ სადღაც კუთხეში სკამზეა ჩამომჯდარი და იქიდან უყურებს და უსმენს, თუ რას ლაპარაკობენ „დიდები“. ევროპა საერთოდ არ ჩანს. სამიტი მთავრდება და ევროპას გადაწყვეტილებას აძლევენ — აწი შენ მთავარი როლი გეკისრება, ყველაფერს ისე გააკეთებ, როგორც ჩვენ ორმა მოვილაპარაკეთო.

და ამ დროს დონალდ ტრამპი ისეთი სიტყვებით ამკობს ვლადიმერ პუტინს, რომ კრემლის ბინადარი სიხარულით მეცხრე ცაზეა. ოკუპირებული უკრაინის მიწა-წყალი რუსეთს ოფიციალურად რჩება. უკრაინისათვის ნატოსაკენ მიმავალი გზა გადაკეტილია, ალიანსში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგიდან იხსნება. ამ ყველაფერს ემატება ის, რომ დონალდ ტრამპს არ სურს უკრაინაში ამერიკელი ჯარისკაცების კონტიგენტი განათავსოს და განზრახული აქვს, რუსეთი „დიდ რვიანში“ დააბრუნოს.

მოკლედ, ერ-რიადში აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებმა ყველაფერზე მოილაპარაკეს და ერთმანეთთან თანასწორად საუბრობენ. ანუ ხდება ის, რაც ვლადიმერ პუტინს ყოველთვის სურდა. კრემლი ყოველთვის ცდილობდა შუღლი ჩამოგდებულიყო დასავლურ ალიანსში, ახლა კი მან ეს ყველაფერი „უფასოდ მიიღო“: ამერიკა და ევროპა ერთიანობის დემონსტრირებას აღარ ახდენენ.

ეს სავარაუდო სცენარია, მაგრამ თუ მართლაც ასე მოხდება ერ-რიადში, მაშინ ვლადიმერ პუტინი აბსოლუტურ გამარჯვებას მოიპოვებს, დასავლეთი კი წააგებს. უკრაინა ყოველთვის უფრთხოდა მოვლენების ასეთ განვითარებას, თავს არიდებდა მის განხილვას, თუმცა ევროპული ანალიტიკური ცენტრები არცთუ იშვიათად მსჯელობდნენ. გრიგალის წინასწარმეტყველება შეიძლებოდა. დონალდ ტრამპი არასოდეს არ მალავდა იმას, თუ რის გაკეთება ჰქონდა განზრახული. ევროპა სიტუაციის გაცნობიერებას აჭიანურებდა და ბოლოს „ორმოში აღმოჩნდა“.

ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის საიმედოდ შესანარჩუნებლად უკრაინაში, სავარაუდოდ 140-150 ათასიანი სამშვიდობო კონტინგენტი იქნება აუცილებელი. ვიმეორებ — **„საიმედოდ შესანარჩუნებლად“**: არ ვგულისხმობ გაეროს „ცისფერჩაფხუტიანების“ მოვალეობას, რომლებიც მხოლოდ პატრულირებას ახდენენ. მშვიდობისმყოფლების დიდი ნაწილი, ალბათ, გერმანიიდან იქნებიან, მაგრამ არც ბუნდესვერი და არც გერმანული საზოგადოება ამისათვის მზად არ არის.

ჯეიმს ვენსის გამოსვლამ ევროპა შეაძრწუნა

თითქოსდა ეს ნეგატიური ამბები ევროპისათვის საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მას კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა მიუნჰენის კონფერენციაზე. როცა ჯეიმს ვენსი ტრიბუნასთან მივიდა, ყველას ეგონა, რომ იგი უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის გეგმის დეტალებს გააჟღერებდა, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტის ნათქვამმა ყველაზე უარეს მოლოდინსაც გადააჭარბა — 18-წუთიანმა გამოსვლამ ევროპა გულის სიღრმემდე შეაძრწუნა.

ჯეიმს ვენსმა ყველაზე დიდ მუქარებად ჩათვალა არა რუსეთი ან ჩინეთი, არამედ თვით ევროპის შიგნით არსებული საფრთხეები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპული მთავრობები — ისეთები როგორიცაა, ვთქვათ, გერმანიის მთავრობა — ევროპისათვის უფრო მეტ საფრთხეს მოასწავებს, ვიდრე რუსეთის ან ჩინეთის მთავრობა. მისი თქმით, ევროპის მთავრობებს თავიანთი ამომრჩევლების ეშინიათ და პარტიებს გარიყულად აქცევენ. ამერიკელ სტუმარს, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა ულტრამემარჯვენე პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“, რომლის ლიდერს ალის ვაიდელს იგი შეხვდა. ოლაფ შოლცთან მოლაპარაკება კი ჯეიმს ვენსის დღის წესრიგში არ აღმოჩნდა.

თავის ვიცე-პრეზიდენტს მხარი აუბა დონალდ ტრამპმაც და დაიწყო ლაპარაკი ამერიკელი და რუსი ხალხის დიდებულებაზე. ეს სრულიად ახალი ტონალობაა. ამერიკა თავის მტრებზე ისე ლაპარაკობს, თითქოსდა ისინი ყოველთვის ძველი განუყრელი მეგობრები იყვნენ, ხოლო ძველ განუყრელ მეგობრებს მტრებად თვლის.

წყარო: https//p.dw.com/p/4qaC5

ბრიტანული სამაუწყებლო კომპანიის **„ბიბისის“** (BBC) საიტზე გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ეპოქის დასასრული“: ხუთი დასკვნა მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციასთან დაკავშირებით, რომელიც უკვე ისტორიაში შევიდა“ (ავტორები — ლიზ დიუსეტი და ფრენკ გარდნერი, BBC-ის კორესპონდენტები).**

გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:

«ეპოქის დასასრული»

მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ანალიტიკოსები აფასებენ მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციის მნიშვნელობას და სამომავლოდ პროგნოზებს აკეთებენ.

ფორუმს, რომელიც 14-16 თებერვალს გერმანიაში, ბავარიის დედაქალაქში მიმდინარეობდა, ექსპერტები უკვე ერთხმად უწოდებენ ისტორიულს და ეთანხმებიან იმ აზრს, რომ კონფერენციამ დასაბამი მისცა საერთაშორისო თანამშრომლობაში ახალი ერის დაწყებას.

„ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ ძველი რწმენა „ტრანსატლანტიკური პარტნიორობის“ ტაობაზე აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს შორის, წარსულს ჩაბარდა. ადრინდელი სქემა უკვე აღარ მუშაობს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ბევრ ევროპელ ლიდერს შესაძლებლობა ჰქონდა საკუთარი თვალით ენახათ და ყურით მოესმინათ ის, თუ როგორ ცდილობს აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გუნდი თავისი პოლიტიკის გატარებას.

ამერიკელებმა ევროპელებს პირდაპირი ტექსტით განუცხადეს: „ნუ გექნებათ იმის იმედი, რომ ომის შეწყვეტის მოლაპარაკების მაგიდასთან თქვენი ადგილი იქნება“.

კონფერენციის ბევრი დელეგატი პირადულ საუბრებში აღიარებენ, რომ ბოლო დროს დონალდ ტრამპის გუნდიდან იმდენი განცხადებები ისმის და იმდენ გადაწყვეტილებებს ისმენენ, რომ მათ უკვე „თავგზა აქვთ დაბნეული“, მით უმეტეს, რომ ოკეანისიქითა ამბებიდან ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო და ერთმანეთის გამომრიცხავია.

ევროპისათვის განმსაზღვრელი მომენტი დგება: აუცილებელია ვაშინგტონთან ურთიერთობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა აეწყოს ახლებურად, რადგან სასწორზე ბევრი რამ არის დადებული.

მოკლედ, 2025 წლის მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციიდან შეიძლება ხუთი დასკვნა-გაკვეთილი იქნას გამოტანილი:

პირველი — საერთაშორისო ურთიერთობების ეპოქა ძველი სახით უკვე დასრულებულია. ევროპაში მეტად აღარ არის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული უსაფრთხოების არქიტექტურა. აშშ, მართალია, ისევ არის ნატოს წევრი, მაგრამ ევროპას აღარ შეუძლია ძველებურად იყოს იმის იმედზე, რომ გარედან თავდასხმის შემდეგ ამერიკა მას აუცილებლად დაეხმარება.

მეორე — საერთაშორისო საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება უკრაინის მიმართ კარდინალურად შეიცვალა. აშშ და რუსეთი ემზადებიან უკრაინაში მშვიდობა თვითონ უკრაინის გარეშე დაამყარონ და საერთოდ, ვაშინგტონ-მოსკოვის მოლაპარაკებიდან ევროპა გამოთიშულია.

მესამე — ევროპას მოუწევს თავდაცვისათვის მეტი ფული დახარჯოს და ეს უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ. თუ ევროპის ქვეყნებს სურთ რუსეთის მზარდი აგრესიის შეჩერება, ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, მათ „ჯიბეები უნდა მოიჩხრიკონ“ და მეტი თანხა უნდა გამოჰყონ სამხედრო ძლიერებისათვის.

მეოთხე — ნიშანდობლივია აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯეიმს დევიდ ვენსის გამოსვლა მიუნჰენის კონფერენციაზე. დონალდ ტრამპის თანაგუნდელის მიერ გამოხატული მძაფრი „ანტიევროპული“ კრიტიკა კონფერენციის ბევრმა მონაწილემ შეურაცხმყოფლად მიიჩნია. იმავდროულად ატლანტიკის ორივე ნაპირზე მცხოვრებ ბევრ ადამიანს ჯეიმს ვენსის ნათქვამი ესიამოვნა, თვით აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კი გამოსვლას „ბრწყინვალე“ უწოდა.

მეხუთე — საერთო განხეთქილება და მზარდი უთანხმოება. დღეისათვის აშშ-ისა და ევროპის პოზიციებში, რიგი მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ აშკარა უთანხმოება სუფევს. ისე, უთანხმოება თვით დონალდ ტრამპის გუნდშიც შეიმჩნევა, გუნდის წევრთა თვალსაზრისები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ისინი ზოგჯერ საკუთარ თავსაც ეწინააღმდეგებიან.

მოამზადა სიმონ კილაძემ

„ძველი“ ცხოვრების სარკე

ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება ექნება კიდევ ერთხელ, გაგრძელებებით, წაიკითხონ გენიალური ქართველი მსახიობის, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, საზოგადო მოღვაწის, ლეგენდების ბურუსში გახვეული „მსოფლიო კლასის არტისტის“ (თვით იოსებ სტალინმა უწოდა ასე), ათასგვარი ცილისწამების აბლაბუდაში გახვეული დიდი შემოქმედის ჩანაწერები. ეს დღიურები, იმდროინდელი ყოფის, ყოველდღიური ცხოვრების, რიგითი, თუ ამ ქვეყნის ძლიერთა ცხოვრების მისეული შეხედულებების მემუარულ სტილში შექმნილი მეტად საინტერესო ჩანაწერები მისსავე თხოვნით დალუქული, დიდი არტისტის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ უნდა გახსნილიყო. დღის სინათლე მართლაც გასული საუკუნის მიწურულს იხილა ისტორიის მრისხანებითა და წყეული რეპრესიების სუსხით გათოშილმა ფურცლებმა.

გაყვითლებული ჩანაწერები „განთავისუფლდა“ თუ არა, თითქმის მივიწყებას მისული ცხოვრების საშინელების წლების ზეწოლისგან და მემუარისტის ანდერძისგან, პირველად ჩვენმა კოლეგამ, გაბედულმა და ნიჭიერმა ჟურნალისტმა, გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** რედაქტორ-გამომცემელმა **ლაშა ნადარეიშვილმა** საკუთარი გაზეთის პოპულარულ დამატება „ცისკარში“ გამოაქვეყნა. წინასიტყვაობაში მეტად საინტერესო ფრაზაც წავიკითხეთ: **„...ამ ვეებერთელა მსახიობს, მოღვაწეს, ქართული თეატრის კორიფეს უდავოდ აქვს უფლება, იმდროინდელი მოვლენები — ეხება ეს თეატრს თუ საზოგადო ყოფას — ისე მიიტანოს დღევანდელ თაობამდე, როგორც ეს მისი თვალსაწიერიდან ჩანდა —XXI საუკუნის საქართველო, იქნებ, ბევრ შეფასებაში არ დაეთანხმოს ჩანაწერების ავტორს, — ამ გადასახედიდან ხომ ყოველივე სხვაგვარად მოჩანს - მაგრამ, ვფიქრობ, იმ ეპოქის თუ გარემოს გამოცნობა, რომელშიც ჩვენი დიდი წინაპრები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, უთუოდ საინტერესო იქნება დღევანდელი ქართველებისთვის“.**

მართალს ბრძანებს ბატონი რედაქტორი, რომელმაც თავისი კეთილი ნებით უფლება მოგვცა ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნოთ ამ მოგონებების განახლებული ვერსია - ცხოვრება შეიცვალა, გადაფასდა შეხედულებები, ბევრი იმ დიდ შემოქმედთაგან მივიწყებას მიეცა, ბევრი ახსოვთ და აფასებენ, უფრო მეტიც, ბევრის შთამომავლებიც აღარ არიან ცოცხლებს შორის, ბევრიც ახლაც ზეობს. უფრო მეტიც, აკაკი ხორავას ეს მოგონებები მაშინ დაიბეჭდა, როდესაც „ვარდების რევოლუცია“ სულ ახალი მოხდარი იყო და ამგვარი „მოგონებების“ გამომზეურება მართლაც დიდ რისკსა და გაბედულებას მოითხოვდა. გავიდა ოცი წელი და... მოვიდა ახალი თაობა, რომლისთვისაც არათუ გასული საუკუნის, სტალინ-ბერიას ეპოქის ამბები, არამედ ამ საუკუნის დასაწყისის ამბებიც მეტად „ბუნდოვანია“. ამას ურთულესი დროის დღევანდელობაც ამტკიცებს...

უნიჭოდ დადგმული პერფომანსები რუსთაველის თეატრის წინ, აბსურდული მოთხოვნები მსახიობთა, რეჟისორთა, დრამატურგთა მხრიდან, მათი სულიერი და ზნეობრივი სახე, თითქოს განმეორებაა იმ ეპოქისა, რომელმაც სამწუხაროდ ჭკუა ვერ გვასწავლა.

...მაგრამ კვლავ ნაწყვეტი წერილის წინასიტყვაობიდან: **„ეს ერთი კაცის, ერთი დიდი მსახიობის თვალით დანახაული ის მოვლენებია, რაც თეატრში, ქვეყანაში, „დიდ“ საბჭოეთში ხდებოდა, და ამ ჩანაწერებს სულაც არა აქვს უდავო ჭეშმარიტების მტკიცების პრეტენზია“.**

მაბრამ იქნებ, ახლა მაინც რამე გვესწავლა წარსულიდან?!

მამუკა ფაშაკიძე

აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები,

რომელთა დაბეჭდვაც, ლეგენდარული აქტიორის ანდერძის მიხედვით, მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ გახდა დასაშვები!

პარიზში მეორედ ჩასვლისას ვიყავი ლეჟეს (ცნობილი მემარცხენე, მხატვარი) ატელიეში. პარიზთან ახლოს — აგარაკზე. მისი სურათების დათვალიერების შემდეგ მისმა მეუღლემ ნ. პეტროვამ (ისიც მხატვარია, ლეჟეს მოწაფე) შეგვიყვანა თავის სამუშაო ოთახში და გვიჩვენა მის მიერ შესრულებული ნახატები. როგორც თავისი მეუღლე, პეტროვაც აბსტრაქციონისტია. როგორც საუკეთესო ნიმუში მისი მხატვრობისა, გვაჩვენა ტილო, რომელზედაც დახატული იყო ზოია კოსმოდემიანსკაია სახრჩობელაზე. სახრჩობელაზე ეკიდა რაღაც უფორმო, მუქი ლურჯი ფერის (როგორც ავტორმა აგვიხსნა) ზოია. სურათს არაფერი საერთო ჰქონდა იმ პატარა ახალგაზრდა გოგოსთან, რომელმაც თავი დასდო სამშობლოსათვის. მე ზოიას მაგიერ, როგორც საბჭოთა მოქალაქემ, შეურაცხყოფა ვიგრძენი. ალბათ, უკმაყოფილება სახეზე გამომეხატა. პეტროვა თავმომწონედ იდგა თავის ნამუშევართან და მოელოდა ნახატის აღფრთოვანებულ შეფასებას ჩვენგან. იქ დამსწრეებმა ქება-დიდება შეასხეს პეტროვას. მე გაჩუმებული ვიყავი. როცა დავაპირე ჩემი აზრის გამოთქმა, ჩემს გვერდით მყოფმა ლუი არაგონმა შემაჩერა და მითხრა: „ბატონო აკაკი, ნურას იტყვით ნახატის შესახებ ცუდს. ვინ იცის, შეიძლება მომავალში ეს სურათი და საერთოდ აბსტრაქციონიზმი წამყვანი გახდეს მთელს მსოფლიოში. გახსოვდეთ: თუ არ გინდათ, ფრანგს აწყენინოთ — არ შეურაცხყოთ, ცუდი არაფერი სთქვათ აბსტრაქციონიზმზე, რადგან ყოველ ფრანგს ფორმალიზმი ეროვნულ მიღწევად მიაჩნია და მისი არმიღება ეროვნულ შეურაცხყოფად იქნება აღქმული (ატელიეში ვიყავით ელზა ტრიოლე, ლუი არაგონი, დაევიჩი და მე.)

მეც ვარჩიე, არაფერი მეთქვა. ვერ ვაწყენინე გულუხვ მასპინძელს.

ლეჟე დიდი ოსტატია ფერწერისა. შესანიშნავად ფლობს ფერებს. მას ხშირად იწვევენ კათოლიკური ეკლესიების გასაფორმებლად. გაფორმება გამოიხატება არა წმინდანების ხატვით ეკლესიის კედლებზე, არამედ როგორც ბარდიური, წყნარი, მშვიდი ფერების გასწვრივ (კედლის) გაყოლებით. ეკლესიის მესვეურნი ასეთ მხატვრობას ამართლებენ იმით, რომ ფერებს სიმშვიდე შეაქვს მლოცველის სულში. არ ვიცი, ამშვიდებდა თუ არა მლოცველს ასეთი სახის მხატვრობა, მაგრამ ეკლესია ისე იყო აჭრელებული სხვადასხვა ფერით, რომ თავი რესტორანში ან ბარში მეგონა.

ლეჟესთან, ატელიეში, ვნახე ბევრი მისი ნამუშევარი, რომლებმაც ჩემზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. იყო ფერების ორომტრიალი ყოველგვარი შინაარსის გარეშე. მხოლოდ ერთმა სურათმა (კარგად მოზრდილმა) დამაფიქრა. სურათს ერქვა „სიფხიზლე“. შინაარსი შემდეგშია: დახატულია პატარა მდინარე ტყის პირას. ტყეში დგას მსუბუქი ავტომანქანა. მძღოლს „კაპოტი“ აუხდია და ძრავასთან საქმიანობს. მანქანასთან ახლოს ბავშვი თამაშობს. წინა პლანზე წამოწოლილი არიან ცალ-ცალკე ქალი და კაცი, ეტყობა, ბავშვის მშობლები არიან, ჩასძინებიათ. ლეჟე მეუბნება, აბა მიხვდები თუ არა შინაარსსო. პირველად ვერ გავიგე, რა შუაშია ეს სურათი და „სიფხიზლე“. დიდი დაკვირვების შემდეგ შევამჩნიე ცოლი და ქმარი ახირებულად არიან დახატულნი. ქალი, როგორც ქალი, და კაცი, როგორც კაცი. მხოლოდ იქ, სადაც სახსრებია, სხეულის ნაწილები დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს სხეული დაშლილი იყო ნაწილებად და ნაწილებად სწორედ იმ ადგილებში, სადაც ადამიანს სახსრები აქვს. მძღოლი და ბავშვი ნორმალურ ადამიანებად იყვნენ დახატულნი. კარგა ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ ცოლ-ქმარი ისვენებდნენ — ეძინათ, ყოველი მათი სხეულის ნაწილი ისვენებდა. ლეჟეს ეს აზრი გავუზიარე. გაეხარდა, მაგრამ, რა შუაში იყო სიფხიზლე, ვერ გავიგე. ლეჟემ მიმითითა სურათის მარჯვენა ქვედა კუთხეში დახატულ ყურებდაცქვეტილ პატარა თაგვზე, რომელიც უკანა ფეხებზე წამოსკუპებულიყო, თვალები დაჭყეტილი ჰქონდა და ღია პირიდან ორი კბილი უჩანდა — აი ამ თაგვშია დედააზრი ამ სურათისაო.

ვერ გავიგე მაინც.

მაშინ თვითონ ამიხსნა — როდესაც ადამიანი ისვენებს, თუ ფხიზელი ძილი არა აქვს, თაგვსაც შეუძლია მას ზიანი მიაყენოსო. ერთი ინგლისელი დიდ თანხას მაძლევდა სურათში, მხოლოდ იმ პირობით, რომ თაგვი სურათიდან ამომეღო. მე მისი მოთხოვნა არ შევასრულე — როგორ შემეძლო, სურათის დედააზრი წამეშალაო. საინტერესოა!!! გავიდა წლები და ეს სურათი დღესაც მახსოვს!



●

კანში (სამხრეთ საფრანგეთი) დავესწარი ყვავილების დღესასწაულს. ადრე გაგონილი და წაკითხული მქონდა ამ დღესასწაულის არაჩვეულებრივობის შესახებ. მეც დიდი მოლოდინი მქონდა. ეს დღესასწაული ტარდება გაზაფხულის პირველ დღეს. ქალაქი სავსეა ნაირ-ნაირი ყვავილებით. ყოველ ადამიანს ხელში ყვავილების თაიგული უჭირავს. დღესასწაული ტარდება დილით და გრძელდება 2-3 საათი. ეტლები, ავტომანქანები, ცხენები მორთულია ყვავილებით. შიგ სხედან ლამაზი ქალები — ყვავილებში არიან ჩაფლულნი. დღესასწაული გამოიხატება იმაში, რომ ყვავილებში ჩასმული ტრანსპორტი მიდის და მიდის ზღვის პირას მდებარე მთავარ ქუჩაზე. ყოველი 7 თუ 8 ეტლის ან ავტომანქანის წინ სამხედრო ნაბიჯით მიუძღვის სასულე ორკესტრი, რომელთა ინსტრუმენტები ყვავილებითაა მორთული. ასეთი 7 თუ 8 ეტლი შეადგენს პროცესიის ერთ ნაწილს. ნაწილები

კი დავთვალე 8! ეტლში მსხდომი ქალები ყვავილებს ესვრიან ქუჩაში მდგომ ხალხს, ხოლო ხალხი კი ეტლში მსხდომ ხალხს. სამი საათის განმავლობაში ერთი კილომეტრის მანძილზე წინ და უკან სიარული ძალზე ერთფეროვანი, მომაბეზრებელი და ძალზე დამღლელია. მართალი რომ ვთქვა, ამ უგემურობას ვერ გავუძელი და ერთი საათის შემდეგ წავედი სასტუმროში, რომ ორკესტრების ბრახაბრუხისაგან ცოტათი მაინც დამესვენა.

●

ჩემი თეატრის დირექტორად ყოფნის დროს აკაკი ვასაძე მთავარი რეჟისორი იყო. რომელიმე საკითხის გარჩევის დროს, ჩვეულება ჰქონდა, უთუოდ ჩემი აზრის საწინააღმდეგო გამოეთქვა. ხშირად ამიტომ საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა, რითაც საქმე ფერხდებოდა.

ბოლოს დავადექი ასეთ გზას: თუ საჭირო იყო საქმისათვის ჩემი შეხედულების გატარება, მე ვიტყოდი ჩემი აზრის საწინააღმდეგოს. აკაკი კიდევ უთუოდ საწინააღმდეგოს იტყოდა, ე.ი. იმას, რაც მე სწორად მიმაჩნდა. მეც დავეთანხმებოდი. ამრიგად გავიდოდა ჩემი დაფარული აზრი. ჩემის ფიქრით, აზრი სწორი იყოს და, ვისაც უნდა, იმან გამოთქვას, ოღონდ საქმისათვის სჯობდეს. თანამდებობის მქონე ადამიანის ავტორიტეტი ამით არ ილახება, პირიქით.

●

ერთხელ ვერიკო ანჯაფარიძე ჩემის თანდასწრებით ეუბნებოდა თავის ამხანაგ ქალს: ამ დილით ისე გამაჯავრეს, რომ სახლიდან გამოსვლისას ჩემს სახეს ვერ მივეცი... (ესმოდათ უცხოელ სტუმრებს თეატრალურ საზოგადოებაში...). რამდენი სისაძაგლე იფარება ნიღაბს ქვეშ. უფრო მართალი არ არის, ადამიანი ცხოვრებაში იყოს ისეთი, როგორიც ხარ? რამდენი ადამიანი ატარებს კეთილშობილების ნიღაბს? რამდენი ზიანი მოაქვს ასეთ ნიღბიან ადამიანებს საზოგადოებრივ საქმიანობაში ან ადამიანთა ურთიერთობაში. ნიღაბს ატარებენ თავიანთი მზაკვრული მისწრაფებების დასაფარავად.

●

ანჯაფარიძე თავის რჩევას აძლევდა მიხეილ ჭიაურელს: „საჭიროა, ინდივიდუალურად დამუშავდეს ყოველი ადამიანი შენთვის სასურველის ცხოვრებაში გატარებისათვის, ამა თუ იმ ადამიანზე შენთვის სასურველი აზრის შექმნისათვის. სჯობია, ხელმძღვანელი გადმოობირო შენს მხარეზე, ამით მის განმგებლობაში მყოფი ხალხი თავისთავად მიემხრობა თავისი უფროსის აზრს. ასე შეიქმნება საზოგადოებრივი აზრი. საჭიროა, დაპატიჟო ხელმძღვანელი, პურ-მარილი გაუმართო, კრებაზე სთქვა ორი ტკბილი სიტყვა იმ კაცის შესახებ, ვინც გინდა მიიმხრო, შეასრულო მისი სურვილები და მოაჩვენო თავი, როგორც მისი ერთგული ხარ. ასეთი ქცევით ნდობას დაიმსახურებო“. კარგია, თუ უფროსს აქვს იმდენი შეგნება, დამმუშავებლის ნათქვამი თვითონ შეამოწმოს, მაგრამ თუ არა აქვს? თუ მართალი ჰგონია, ვინც პირველი მივა მასთან?

მიხეილ ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძე

მაგონდება იგავ-არაკი „ყვავი და მელა“. მელიების მლიქვნელური სიტყვებით თუ რამდენ უფროსს დაუკარგავს საღი აზროვნების უნარი და გადმოუგდია ყველი მელიების შესაჭმელად. ასეთი იყო მოქალაქეობრივი მორალი მარჯანისტებისა, ახმეტელთან და მის მიმდევრებთან „ბრძოლის“ დროს. ასეთივენი არიან ისინი დღესაც. სამწუხაროდ, ასეთი მორალი გაუხდია ზოგ ახალგაზრდას, ხელოვნების მსახურს — ქართული თეატრის ისტორიაში მისთვის დაუმსახურებელი ადგილის მოპოვებისათვის ბრძოლის საქმეში. ასეთი მორალის ადამიანებს უნდა გამოეცხადოთ სასტიკი ბრძოლა, რადგან მთელი მათი ადამიანობა ემყარება არამორალური ადამიანების მორალს!

თანამდებობა მხოლოდ გეგმების შესრულებით კი არ უნდა განისაზღვროს. ყოველი ხელმძღვანელი ამა თუ იმ ორგანიზაციისა იმავ დროს აღმზრდელიცაა თავისი თანამშრომლისა. მან უნდა იცოდეს, რომ, როდესაც ორი კაცი დავობს, მათ შორის ერთი უსათუოდ მტყუანია, ეს კი მტყუანს (არამართალს) საქმის უცოდინარობით მოსდის — მას უნდა განემარტოს შედეგი და, თუ წინასწარგანზრახვით ან ანგარებით ჩირქს სცხებს ადამიანს, ასეთი ისე უნდა დაისაჯოს, რომ მეორედ ვეღარ გაბედოს!

●

ერთ დღეს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ილია თავაძემ დამიბარა ცეკაში. მითხრა, თუ როგორ ვუყურებ კინოში გიორგი სააკაძის როლზე მუშაობას მიხეილ ჭიაურელის ფილმში. ვის ან რომელ მსახიობს არ გაუხარდება იმუშაოს ასეთი დიდი ისტორიული სახის შექმნაზე. მეც გამეხარდა, თუმცა განვუცხადე, რომ ჭიაურელი, როგორც ადამიანი, არ მომწონს და მასთან მუშაობა ჩემთვის ძნელი იქნება-მეთქი. რატომ? — შემეკითხა. მე ვთხოვე, დაებარებინა ჭიაურელი და მისი თანდასწრებით მეთქვა ყოველივე. მეორე დღეს თავაძესთან ორივენი შევიკრიბენით. თავაძე შეეკითხა ჭიაურელს თუ რად მემდურის იგი მე. ჭიაურელს უხერხულობა დაეტყო და არჩია, ჩემი თანდასწრებით არაფერი ეთქვა ჩემზე. მაშინ თავაძემ უთხრა — სთქვით ყველაფერი, რაც მე მელაპარაკეთ ხორავაზე, თორემ იძულებული ვიქნები, თავად გადავცე ამხ. ხორავას თქვენი სიტყვებიო. ჭიაურელმა მხოლოდ ესა სთქვა, რომ, ხორავას არა სწამს ჩემი რეჟისორობისაო და არ ვუყვარვარო. სხვა არაფერი უთქვამს, ეტყობოდა, ჩემზე ბევრი ცუდი ულაპარაკნია თავაძესთან მასთან მარტო ყოფნისას.

მე ვთხოვე თავაძეს, ჯერ მე მეთქვა ჭიაურელის შესახებ. ისიც დამეთანხმა. მეც სრულიად გულწრფელად ჭიაურელს პირში ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. ვთქვი, რომ ის ინტრიგანია, არაგულწრფელი; ქართულ თეატრში მის მეუღლე ვერიკო ანჯაფარიძესთან ერთად არევ-დარევის შემომტანია, ჭორიკანა, დემაგოგი და პროვოკატორია; რომ კინორეჟისორ კოლია შენგელაიას ცოდვა მის კისერზეა; რომ მისი ოჯახი ჩემი ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს, რომ დიდი წარმოდგენის არის თავის თავზე, თუმცა მისი კინორეჟისორული ნიჭი არ უარმიყვია. მოვაგონე თუ რა უღირსად ეჭირა თავი სტალინური პრემიების მიმნიჭებელ კომიტეტში; რომ პირში ყველას უცინის (მათ შორის, მეც!) ზურგს უკან კი სამარეს გვითხრის. ჭიაურელმა ვერა მიპასუხა რა. ან რა უნდა ეპასუხა თავის გასამართლებლად, როდესაც ჩემი ყოველი სიტყვა სიმართლე იყო.

ი. თავაძე ჩავიდა კ. ჩარკვიანთან, ალბათ, ვითარების მოსახსენებლად. ჩვენ ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისათვის. ცოტა ხნის შემდეგ თავაძე ამოვიდა და გვითხრა: — პარტიის ხელმძღვანელობის აზრია „სრაბოტატსა“. რასაკვირველია, ჩემთვის ძნელი იყო, ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავაძის კაბინეტში ვუთხარი ჭიაურელს — მასთან მემუშავნა. მაგრამ ხელმძღვანელობის განკარგულებას დავემორჩილე იმ პირობით, თუ ჭიაურელი ორპირულ პოლიტიკას თავს დაანებებდა ჩემს მიმართ. გამოვეთხოვე თავაძესა და გამოვედი შენობიდან. დამეწია ჭიაურელი, გამიყარა მკლავში ხელი და თითქოს ჩვენს შორის არაფერი მომხდარაო, დამიწყო პირფერობა და სიყვარულის ახსნა — რომ მე ის დიდ პატივსა მცემს, როგორც ადამიანსა და შემოქმედს; რომ ძალიან უხარია გიორგის როლზე მასთან რომ ვიმუშავებ; რომ ჩემზე უკეთესი სააკაძე არავინ ეგულება და სხვ. კინაღამ გული ამერია — ზუსტად ათი წუთის წინ კაცი მზად იყო, გავეთხლიშე, სიბრაზისაგან დორბლებს ყრიდა, მზად იყო, იქვე, თავაძის კაბინეტში მოვეკალ. პირში ისეთების თქმა, რაც მე ვუთხარი, მისთვის არავის გაუბედნია და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ხუთი წუთის შემდეგ სიყვარულს მეფიცებოდა. არის ასეთი ხალხი — პირში რომ მიაფურთხებენ, ხელით მოიწმენდს — თითქოს არაფერიო. იმ დალოცვილს ერთი ორი დღე დაეცადა მაინც, გადაეხარშა თავის თავში ყოველივე ის, რაც მე ვუთხარი და შემდეგ, ყოველგვარი სიყვარულის გამოცხადების გარეშე, მხოლოდ საქმეზე ელაპარაკა ჩემთან. ასეთი ნაუცბათევი ფერისცვალება ქამელეონების თვისებაა. რასაკვირველია, ჭიაურელი, ანჯაფარიძე და მისთანანი, სადაც კი ხმა მიუწვდებოდათ, ჩემს გათახსირებას ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ. როგორც იტყვიან, — კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს, მით უმეტეს, კოკა, რომელსაც გასდის. დღემდე ვერ გაიგეს ანჯაფარიძემ და ჭიაურელმა და მათმა მაგვარმა ხალხმა, რომ ამ ცოდვილ მიწაზე ყველანი დავეტევით სიცოცხლეშიაც და მის შემდეგაც. გულწრფელად, უანგაროდ ვემსახუროთ ჩვენს ხალხს და ჩვენი მოღვაწეობისა თუ ცხოვრების დაფასება-შეფასება ისტორიას მივანდოთ!

აკაკი ხორავა ოტელოს როლში

გაგრძელება შემდეგ ნომერში

აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე

გაზაფხული მოიყვანა

საქართველო მერვე ქვეყანა გახდა, რომელმაც საუცხოოდ უმასპინძლა როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს და საამისოდ 10 წელი იკმარა.

45 სახელმწიფოს დაახლოებით 1000-წევრიანი სპორტული დელეგაციები და თითქმის ამდენივე საპატიო სტუმარი აღტაცებას ვერ მალავს ჩვენს სამშობლოში დასრულებული მომავალი თაობის ფორუმის უმაღლესი ორგანიზატორული დონითა და ბაკურიან-ბათუმ-თბილისის ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე განვითარებული დაუვიწყარი ერთკვირიანი მოვლენებით.

ბუნებრივია, უცხოელთაგან შექება კარგია, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად გვესახება უშუალოდ ზღვისპირა ყინულზე 15 წლის **ინგა გურგენიძის** მიერ მოხვეჭილი ისტორიული პირველი ჯვაროსნული ოქრო ფიგურულ სრიალში, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ზოგჯერ გაზაფხული, თუნდაც ზამთარში, ერთი მერცხლის ჭიკჭიკსაც მოჰყავს. აღსანიშნავია, რომ აქამდე მოპოვებული ჩვენი 3 მედალიც სწორედ ამ სახეობას უკავშირდება: ვახტანგ მურვანიძისა

და კონსტანტინე სუპატაშვილის ვერცხლი, აგრეთვე ნიკა ეგაძის ბრინჯაო.

დავძენთ, რომ საამაყო ტრიუმფატორის ნადავლმა ფრიად საპატიო მე-15 გუნდური ადგილი მოგვიტანა, სულ კი საპატიო კვარცხლბეკზე 22 ნაკრების წარმომადგენელმა ააბიჯა: იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, პოლონეთი, ნორვეგია, სლოვაკეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ჩეხეთი, შვედეთი, უნგრეთი, ავსტრია, საქართველო, ნიდერლანდები, ფინეთი, გერმანია, დანია, სლოვენია, თურქეთი, ხორვატეთი.

აქვე გაუწყებთ, რომ მომავალი მსგავსი კომპლექსური ღონისძიება რუმინეთში 2027 წელს მოეწყობა.

ტიტულით დაინყო



უკვე გახარეთ, რომ ახლახან ახალგაზრდა ქართველი საკალათბურთო მწვრთნელი, პოპულარული ტელესახის თიკა ფაცაციას ვაჟი ანდრო ანთელაძე ლიეტუვური გრანდის კაუნასის ჟალგირისის იტალიელი თავკაცის ტრინკიერის ასისტენტად დაინიშნა, რაც, დაგვეთანხმებით, ფრიად საპატიო მოვალეობა და ჩვენი თანამემამულისადმი ბალტიისპირელთა მიერ გამოცხადებული დიდი ნდობაა.

და აი, პერსპექტიული სპეციალისტის პირველი წარმატებაც: ქვეყნის თასის ფინალში ევროლიგის მონაწილე ფავორიტმა კლუბმა მძაფრ ბრძოლაში 91:89 სძლია ნეპტუნასს და მორიგი ტიტულის მფლობელი გახდა.

იმავე დღეებში სან-ფრანცისკომ ნბა-ს ყველა ვარსკვლავის ახალი სამდღიანი ფორმატით გამართულ შოუს უმასპინძლა, რომლის ფინალშიც შაკილ ონილის გუნდმა 41:25 ჩარლზ ბარკლის რჩეულნი დაჯაბნა, ხოლო მატჩის საუკეთესო მოთამაშემ სტეფ კარიმ (გოლდენ სტეიტი) პარტნიორებს 12 ქულა შეაწია.

არანაკლებ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები წლევანდელ სუპერბოულშიც, სადაც ფილადელფიამ კანზასი დაამარცხა.

ელიტურ ათეულში

უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ვადამდე მოიპოვა 2027 წლის ავსტრალიის მსოფლიო თასის საგზური და რაგბი ევროპის ნახევარფინალში 1 მარტს რუმინეთს უმასპინძლებს.

მნიშვნელოვანი პირადი მიღწევით ხვდება დამდეგ გაზაფხულს ბორჯღალოსანთა რეაქტიული ბეკი **აკაკი ტაბუცაძე,** რომელმაც ესპანელებს 2 ლელო დაუდო, სანაკრებო ტესტებში აღნიშნული სტატისტიკური კომპონენტი 46-მდე აიყვანა და ელიტურ ათეულში შეაბიჯა!

ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერის პროგრესს წონას ის ფაქტი მატებს, რომ დასახელებულ სიაში მას მხოლოდ ისეთი გრანდების ვარსკვლავები უსწრებენ, როგორიცაა სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია, ავსტრალია, ინგლისი, ირლანდია, უელსი და იაპონია.

სხვათა შორის, მადრიდში ესპანეთთან მსუყე გამარჯვებით დასრულებულ ბრძოლაში მეორე მნიშვნელოვანი ფაქტიც მოხდა: ბორჯღალოსნებს პირველად უკაპიტნა **დავით ნინიაშვილმა,** რომელმაც ეს მოვლენა მასპინძელთათვის დადებული 3 ლელოთი და 2 გარდასახვით დაასველა.

ესპანეთში ვიზიტის დროს ცნობილმა ესპანურმა გამოცემა „მარკამ“ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტთან — იოსებ ტყემალაძესთან, ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა:

—შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, განსაკუთრებით გეოგრაფიული და ენობრივი განსხვავებების ფონზე, მაგრამ ესპანეთსა და საქართველოს ერთგვარი „ძმობა“ აკავშირებთ. ევროპაში ორი „იბერიაა“, ერთი მათგანი ესპანეთში, ხოლო მეორე საქართველოში მდებარეობს. ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებს შორის გამართულ სპორტულ ღონისძიებებს, წესების სრული დაცვით შეგვიძლია ვუწოდოთ „დერბი“.

რაგბი კი ის თამაშია, სადაც საქართველო და ესპანეთი ერთმანეთს ყველაზე ხშირად ხვდებიან. 21-ე საუკუნეში მათ უკვე 26 ბრძოლა გამართეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორივე გუნდმა უკვე მოიპოვა 2027 წლის მსოფლიო თასის საგზური. ესპანელები იმედოვნებენ, რომ ბოლოს და ბოლოს დაიწყება რაგბის მდგრადი და შეუქცევადი განვითარება.

ქართული რაგბის პროგრესი კი უდიდესია. მან რაგბი ევროპის ბოლო 17 ჩემპიონატიდან 15 მოიგო, მსოფლიო თასის მუდმივი მონაწილეა და ბოლო წლებში ტიერ1-ის გუნდებსაც ამარცხებს. აი, ვინ უნდა იყოს განვითარების მაგალითი ესპანური რაგბისთვის.

„მარკა“ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ იოსებ ტყემალაძეს ესაუბრა:

— როდის გამოჩნდა რაგბი საქართველოში და როგორ მიაღწია მან უმაღლეს დონეს?

— ჩვენ გვაქვს უძველესი და პოპულარული თამაში „ლელობურთი“, რომელიც ძალიან წააგავს რაგბის. ამ თამაშს უდიდესი ისტორია აქვს, რაგბის თამაში კი ოფიციალურად 1960-იან წლებში დავიწყეთ. თავდაპირველად რაგბი სამოყვარულო იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენმა ნაკრებმაც პროფესიონალური სახე მიიღო და საერთაშორისო არენაზე წარსდგა. მოგვიანებით ქართულ რაგბის საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ სახით უმსხვილესი სპონსორი გაუჩნდა. მან განავითარა სარაგბო ინფრასტრუქტურა მთელი ქვეყნის მასშტაბით. გავიზარდეთ თამაშის კუთხითაც და ახლა მსოფლიოს რეიტინგში მე-11 ადგილზე ვართ.

შედეგებით ვიხმაურებთ

— საქართველოში რაგბის ამჟამად რამდენი ადამიანი თამაშობს?

— საქართველოში რაგბის დაახლოებით 15 ათასი ადამიანი თამაშობს, თუმცა ლიცენზირებული სპორტსმენი მხოლოდ 7 ათასი გვყავს. ეს ძალიან ცოტაა და ავამუშავეთ სასკოლო რაგბის პროგრამა. ჩვენი მიზანია, რომ მორაგბეთა რაოდენობა მინიმუმ გავასამმაგოთ.

— საქართველოს ნაკრებმა როგორ მოახერხა ტოპ-გუნდების დონეზე განვითარება?

— თავდაპირველად ქართველი მორაგბეები ფრანგულ კლუბებში მიყავდათ. მოგვიანებით ამას დაემატა ისიც, რომ მსოფლიო რაგბის დახმარებით, კლუბების ხარისხიანი მუშაობით, ჩვენი სტრუქტურების კარგი ორგანიზებით და გუნდური ძალისხმევით, არსებულ შედეგებს მივაღწიეთ. თუმცა ამ უდიდესი მიღწევების უმთავრესი საფუძველი ჩვენი ბიჭების თავდაუზოგავი ბრძოლაა მოედანზე. მწირი ადამიანური რესურსისა და ბიუჯეტის მიუხედავად, ჩვენ შევძელით ამ დონემდე მოსვლა.

— შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ქვეყნის ყველაზე წარმომადგენლობითი გუნდია?

— შედეგებისა და მიღწევების მიხედვით რაგბი ყველაზე წარმატებული სათამაშო სახეობაა საქართველოში, თუმცა ფეხბურთი ყველაზე პოპულარულ სახეობად რჩება. მთლიანობაში, რაგბის მთელს ქვეყანაში დიდი დაფასება აქვს.

— იმის გათვალისწინებით, რომ ჭიდაობა საქართველოში ეროვნული სპორტის სახეობაა, გაქვთ მოჭიდავეებთან რაიმე კავშირი?

- სხვა სპორტის ფედერაციებთან მჭიდრო ურთიერთობები გვაქვს. ბევრი მოთამაშე მოსულა ჩვენთან ჭიდაობიდან, ძიუდოდან თუ კალათბურთიდან. მაგალითად, ჩვენი ლეგენდა მამუკა გორგოძე 17 წლამდე კალათბურთზე დადიოდა და მერე დაიწყო რაგბის თამაში.

— გული არ გწყდებათ, რომ ისეთ ახალგაზრდა სარაგბო გუნდს, როგორიც საქართველოა, რეგულარულად არ გეძლევათ ექვსი ერისა და სუპერრაგბის ქვეყნებთან თამაშის შესაძლებლობა?

— ჩვენ მუდამ მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ, რათა თამაშები იყოს რთული და კონკურენტული. მსოფლიო რაგბის დახმარებით, ბოლო წლებში სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა. ჩვენი 18-წლამდელები თამაშობენ ექვსი ერის ფესტივალში; „შავი ლომი“ ჩაერთო ჩელენჯ თასში და ვცდილობთ გზების გამონახვას, რათა მან გაერთიანებულ რაგბის ჩემპიონატში ითამაშოს. სამწუხაროდ, რეალობის გათვალისწინებით, რაგბი ევროპის ჩემპიონატში თამაში ჩვენს განვითარებას ხელს არ უწყობს.

— ფრანგულ ტოპ 14-ში ბევრი ქართველი თამაშობს. როგორი ურთიერთობა გაქვთ მათ კლუბებთან?

— რა თქმა უნდა საფრანგეთიდან მოთამაშის ჩამოყვანა ხანდახან სირთულეებთანაა დაკავშირებული. ვცდილობთ კოორდინირებულად ვიმუშაოთ და უმთავრეს ყურადღებას მოთამაშეთა კეთილდღეობას ვუთმობთ.

— უკვე მოიპოვეთ 2027 წლის მსოფლიო თასის საგზური. როგორია თქვენი მიზნები?

- მიზანი ფლეი ოფში გასვლაა, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს წლებში უფრო მაღალი მიზნებიც დავისახოთ. მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ, რათა მივყვეთ დასახულ გეგმას და ღირსეულად წარვსდგეთ მსოფლიოს წინაშე. დარწმუნებული ვარ, 2027 წელს ჩვენს ხმას ბევრი გაიგონებს.

მაინც დინამოზე

ერთა ლიგის პლეი-ოფის შეხვედრა საქართველოს და სომხეთის ნაკრებებს შორის „დინამო არენაზე“ გაიმართება.

სსიპ. ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს განახლებული დასკვნის შედეგად, ამ დროისთვის, შეზღუდვა, პირველი იარუსის თვრამეტი სექტორიდან მხოლოდ ექვს სექტორს ეხება. შეზღუდვა არ ვრცელდება მატჩის ორგანიზებისთვის აუცილებელ ზონებზე.

სტადიონის მდგომარეობასთან დაკავშირებით კომენტარი სფფ-ის გენერალურმა მდივანმა **დავით მუჯირმა** გააკეთა.

დავით მუჯირი (სფფ-ის გენერალური მდივანი): „დინამო არენას ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციით, როგორც იცით, სრულად შეზღუდული იყო პირველი იარუსის გამოყენება. დამატებითი დეტალური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პირველი იარუსის 18 სექტორიდან მხოლოდ ექვსი სექტორის გამოყენებაა შეზღუდული. შესაბამისად, გახსნილია სტადიონის პირველი იარუსის 2/3 და მეორე იარუსი სრულად. მათ შორის, შეზღუდვა არ ეხება მატჩის ორგანიზებისთვის აუცილებელ ზონებს, მედიის სამუშაო სივრცეს, ტექნიკურ ზონას და სტუმარი გულშემატკივარის ტრიბუნას.

როგორც აღვნიშნე, პირველადი დასკვნით, რომელიც დინამო არენამ ივნისში მოგვაწოდა, პირველი იარუსი სრულად იყო დახურული, ხოლო დღევანდელი მონაცემებით შეზღუდვა 6 სექტორს ეხება, რაც დაახლოებით 4000 ადგილია. საქართველო-სომხეთის მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვის შესახებ ინფორმაციას უახლოეს მომავალში, ახალი სქემის დამუშავების შემდეგ გავავრცელებთ.

ვიმედოვნებ, რომ პრობლემური სექტორების რეაბილიტაცია შემდგომი მატჩებისთვის დასრულდება და სრულად შევძლებთ სტადიონის ტევადობის ათვისებას“.

საქართველო-სომხეთის პლეი-ოფის პირველი შეხვედრა 20 მარტს, ერევანში გაიმართება, ხოლო საპასუხო შეხვედრას თბილისი 23 მარტს უმასპინძლებს. ორრაუნდიან დაპირისპირებაში გამარჯვებული კვლავ ერთა ლიგის დივიზიონში იასპარეზებს.

მონატრებული დაბრუნება



საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების 22 წლის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკოლოზ კალანდაძემ მძიმე ტრავმისა და ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პროცესის გამო ჯვაროსანთათვის ისტორიული პირველი გერმანული ევრო — 2024 გამოტოვა, გამოჯანმრთელების შემდეგ კი საკლუბო კარიერაში ახალ გამოწვევასთან მოუწევს გამკლავება, რადგან საფრანგეთის შამბერიდან იქაური უმაღლესი ლიგის მეშვიდეადგილოსან პროვანსში გააგრძელებს თამაშს.

კლუბის საიტზე ვკითხულობთ: **„ნიკოლოზმა უკვე დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის მოთამაშეა. ტრავმის მიღებამდე საფრანგეთის ჩემპიონატში რამდენჯერმე დაგვაჯერა, რომ დიდი მომავალი აქვს. კეთილი იყოს შენი მობრძანება, ნიკოლოზ“.**

ახლა კი ჩვენი ნაკრების თავკაცის ტიტე კალანდაძის ლეგიონერ ვაჟსაც მოვუსმინოთ: **„როცა აღნიშნული ტრანსფერი გადაწყდა, ყოფილ პარტნიორთა რჩევების შედეგად ახალი პროექტით დავინტერესდი და მიხარია, რომ პროვანსმა ნდობა გამომიცხადა. მინდა, თამაშით სიამოვნება მივიღო და ჩემი ძალისხმევა გუნდის წარმატებებისკენ მივმართო“.**

საქართველოს რესპუბლიკა

24 მაისი, 2024.

ევერესტისა და თენსინგის დღე!

29 მაისი ევერესტის საერთაშორისო დღეა!

მთელი ცხოვრება თენსინგმა ინდოეთში, დარჯილინგში გაატარა, დაბადებით კი ტიბეტში უნდა იყოს დაბადებული, თუმცა ულმანი წიგნში ასე გადმოსცემს მეცხრე ბანაკიდან მწვერვალის დასალაშქრად გამზადებული თენსინგის ნაამბობს:

„დასავლეთის ცირკიდან ქვევით ჩადის ყინულვარდნილი, უფრო იქით გაშლილა ყინვარი ქჰუმბუ. ყინვარის ქვევით, 4800 მეტრით ჩვენზე დაბლა, ბინდბუნდში ძლივს მოჩანს ძველებური მონასტერი თიანგბოჩე. ჰილარისთვის ეს ალბათ ბევრს არაფერს ნიშნავს, დასავლეთელი კაცისთვის ეს მხოლოდ უცნობი, მიყრუებული ადგილია შორეულსა და უცხო ქვეყანაში. ჩემთვის კი ეს სამშობლოა. თიანგბოჩეს მიღმა მიმოფანტულან სოფელ სოლო-ქჰუმბუს ველები. მე სწორედ იქ დავიბადე და გავიზარდე. პატარა ბიჭი ვიყავი, როცა მამის იაკებს ვმწყემსავდი და მთის ფერდობებზე დავცოცავდი. აქედან სულ ახლოა ჩემი მშობლიური სახლი. ასე გგონია, გაიშვერ ხელს და მისწვდები, მაგრამ ის 4800 მეტზე უფრო ქვემოთაა.“

წლევანდელ ევერესტის დღეს 110 წელი შესრულდა თენსინგის დაბადებიდან. ეს თარიღი კი მან თავად აარჩია მრავალი ვარიანტიდან დედის მონათხრობის კვალობაზე, რომელმაც გაიხსენა რომ იგი გაზაფხულისა და ზაფხულის მიჯნაზე იყო დაბადებული. თავისი დაბადების წელი კი ისევ დედის მონათხრობიდან დაადგინა წლის მოსავლიანობის მიხედვით. როგორც ლეგენდარულ ადამიანს შეშვენის, თენსინგი მწვერვალზე საკუთარ დაბადების დღეზე ავიდა და ბევრს ეს მართლაც სასწაულებრივი დამთხვევა ჰგონია. ზოგი იმასაც ამბობს, რა მაგრები არიან ინგლისელები, როგორ დაამთხვიეს ასვლის დღე თავიანთი შერპის დღეობასო. ინგლისელები შეიძლება მართლა მაგრები არიან, მაგრამ სინამდვილეში თენსინგმა თავად აარჩია 29 მაისი თავის დაბადების დღედ!

ევერესტის მერე თენსინგმა უარი თქვა ექსპედიციებში მონაწილეობაზე. ინდოეთის სუბკონტინენტზე იგი საკულტო ფიგურა გახდა, საკმაოდ კეთილდღეობასაც მიაღწია, ფულიც იშოვა და ბოლოს და ბოლოს საკუთარი სახლიც აიშენა დარჯილინგში.

მაგრამ მანამდე ერთგვარი პოლიტიკური თუ ეროვნული ინსინუაციების მსხვერპლი გახდა. ბევრმა ვერა და ვერ მოინელა, რომ არაფრით არ ამბობდა, ვინ ავიდა პირველი ევერესტზე — ის თუ ჰილარი. მათ მოილაპარაკეს, რომ თითქოს ისინი ერთდროულად ავიდნენ მწვერვალზე, თუმცა სინამდვილეში პირველი ჰილარი ავიდა — ექსპედიცია ინგლისელებისა იყო და თენსინგი კი მხოლოდ გამყოლი გახლდათ. ზოგი იმას არ პატიობდა, რომ ნეპალში დაბადებულმა ინდოეთში ცხოვრება არჩია, ხოლო წარმატებას ინგლისელებთან ერთად მიაღწია. მათ კი ევერესტზე პირველი ასვლა ელიზაბეთ მეორის კორონაციას მიუძღვნეს, რომელიც ასვლიდან სამი დღის მერე — 2 ივნისს გაიმართა ლონდონში. არადა ამ დროს ინდოეთს სულ ხუთი წლის გამოცხადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა და ინგლისთან დაახლოებით ისეთივე ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ჩვენ, ქართველებს, გვაქვს დღეს რუსეთთან.

„არც ერთი ადამიანი არ არის უნაკლო, — წერს თენსინგი თავის წიგნში, — ჩვენ არა ვართ ღმერთები, ჩვენ მხოლოდ უბრალო მოკვდავები ვართ. ექსპედიციის დროს კი ხშირად რთულდება საქმე. ასეთ სირთულეებს ადგილი ჰქონდა უკანასკნელი ინგლისური ექსპედიციის დროსაც, 1953 წელს. ამას მე არ უარვყოფ, მაგრამ, იმის გამო რომ ექსპედიციამ ასე გაითქვა სახელი, ძალზე გაზარდეს ამ გაუგებრობათა მნიშვნელობაც... მეტად დიდია ევერესტი, მეტად ძვირფასია ჩემთვის ჩვენი ლაშქრობის მოგონება. მე მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი. სიმართლე კი ისაა, რომ ინგლისელებსა და აზიელებს შორის წარმოშობილი გაუგებრობანი არაფერია იმ მეგობრობასთან შედარებით, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა. ეს იყო საერთო მიზნის, სიყვარულისა და ერთგულების კავშირი, სწორედ ის კავშირი, რომელიც არსებობს მსოფლიოს ყველა ალპინისტს შორის და ძმებად აქცევს მათ. პოლიტიკა, ეროვნება! — რა აურზაურს ტეხენ ამ ცნებების ირგვლივ!

დასასრული; დასაწყისი იხ. „სრ“ №21



პაატა ნაცვლიშვილი

ფეისბუქი – 2024, რჩეული პოსტები

არა მთებში, რა თქმა უნდა. იქ ამისთვის ცხოვრება მეტად უშუალოა და სიკვდილი მეტად ახლო. იქ ადამიანი ადამიანია, ჩვეულებრივი მოკვდავი და მეტი არაფერი. სამაგიეროდ მერე იწყება — პოლიტიკა, დავა, განხეთქილება... ევერესტიდან დაშვებაც ვერ მოვასწარი, რომ ეს ცხადად ვიგრძენი. 38 წელი ისე ვიცხოვრე, რომ არავის დასჭირვებია ჩემი ეროვნების გაგება. ინდოელი, ნეპალელი, ტიბეტელი — რა განსხვავებაა? მე შერპი ვარ, უბრალო მთიელი, დიდი ჰიმალაის მკვიდრი და აი, ჩემი ცხოვრების ოცდამეცხრამეტე წელს მოულოდნელად დამიწყეს გაწევ-გამოწევა სხვადასხვა მხარეს, თითქოს კაცი კი არა, თოკზე ჩამოკიდებული თოჯინა ვყოფილიყავი, მწვერვალზე პირველი აუცილებლად მე უნდა ავსულიყავი, თუნდ ერთი გოჯით, ციდით ან მტკაველით, მაგრამ მაინც ჰილარიზე ადრე. ზოგს უნდოდა ინდოელი ვყოფილიყავი, ზოგს — ნეპალელი, არავის აინტერესებდა სიმართლე, არავის აინტერესებდა ევერესტი“...

1954 წელს თენსინგმა ინდოეთის მთავრობის მხარდაჭერით დარჯილინგში ალპინიზმის ჰიმალაის ინსტიტუტი შექმნა და ეს წერა-კითხვის უცოდინარი ლეგენდარული მთამსვლელი მისი დირექტორი გახდა და პენსიაში გასვლამდე — 1976 წლამდე ხელმძღვანელობდა მას. ინსტიტუტის მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა და ალბათ დღესაც წარმოადგენს სამთო ასვლების მეთოდიკისა და ტექნიკის დამუშავება, ინდოელ პროფესიონალ მთამსვლელთა მომზადება, მათ შორის — არმიისათვის. ინსტიტუტის საქმიანობის წარმართვისათვის თენსინგმა სპეციალური მომზადება გაიარა შვეიცარიაში. 1975 წელს ბუტანის მეფის ჯიგმე სინიე ვანჭჩუკის თხოვნით, ამერიკელ ტურისტთა პირველ ჯგუფს წაუძღვა მანამდე უცხოელთათვის დახურულ ბუტანში. მერე ეს ჯგუფი მან სიკიმის ბოლო მეფესაც პალდენ ტონდურ ნამგიალსაც შეახვედრა.

თენსინგი გარდაიცვალა 1986 წლის 9 მაისს. მისი გვამის კრემაცია მისსავე დაარსებულ ინსტიტუტში მოხდა. ხოლო მისი მემორიალი, რომელიც ერთგვარ კენტაფს წარმოადგენს, დარჯილინგის ერთი ყველაზე მთავარი ღირსშესანიშნაობაა.

მას მერე, რაც ოცნება აუხდა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი, თენსინგი ბევრს მოგზაურობდა. ამას იგი საგანგებოდ უსვამს ხაზს თავის წიგნში:

„მე ბევრი ვიმოგზაურე. ვიმოგზაურო, ადგილი ვიცვალო, ვიარო, ვნახო, გავეცნო — ეს თითქმის სისხლში მაქვს გამჯდარი. ერთხელ, როცა სოლო-ქჰუმბუში ვცხოვრობდი და პატარა ვიყავი, კატმანდუში, ნეპალის დედაქალაქში გავიპარე. მერე კიდევ გავიპარე. ამჯერად დარჯილინგში. ხოლო დარჯილინგიდან ოც წელს დავყვებოდი ექსპედიციებს ჰიმალაის ყოველ კუთხეში. ყველაზე ხშირად — თვით ნეპალსა და ახლომდებარე სიკიმში, არაიშვიათად გარჰვალსა, პენჯაბსა და ქაშმირში. ხანდახან უფრო შორსაც წავსულვარ: ავღანეთისა და რუსეთის საზღვრებთან, მთებზე გადავლით ტიბეტში, ლჰასაში და ლჰასას იქით. ევერესტის დამპყრობის შემდეგ კიდევ უფრო შორსაც გახლდით. შემოვიარე თითქმის მთელი ინდოეთი — სამხრეთიცა და ჩრდილოეთიც; გავფრინდი ინგლისში; ორჯერ ვიყავი შვეიცარიაში; რამდენიმე დღე გავატარე რომში. მართალია, ჯერ არ ვყოფილვარ ევროპის სხვა ქვეყნებში და ამერიკაში, მაგრამ იმედია, მომეცემა ამის შესაძლებლობა. იმოგზაურო, გაიცნო და შეისწავლო — ეს ნიშნავს იცხოვრო. მსოფლიო დიდია და მას ერთბაშად და მთლიანად ევერესტიდანაც ვერ დაინახავ.“

საქართველო ევერესტიდან, რა თქმა უნდა, არ ჩანს, მაგრამ თენსინგს ერთ მშვენიერ დღეს საქართველოში მოგზაურობის შესაძლებლობაც მიეცა. მისი წიგნი მანამდე გამოვიდა, თორემ ამას აუცილებლად აღნიშნავდა. ეს მოხდა 1963 წლის მარტში. თენსინგს ქართველმა მთამსვლელებმა უმასპინძლეს, რომელთა შორის იყო ქართველ ალპინისტთა სულ-სულ პირველი თაობის წარმომადგენელი ალექსანდრა ჯაფარიძე. „თოვლის ვეფხვს“ უმასპინძლა აგრეთვე „კლდის ვეფხვმა„ — მიხეილ ხერგიანმა. თენსინგმა დაათვალიერა საქართველოს ალპური კლუბი. თბილისში სტუმრობისას გაიცნო მისი წიგნის მთარგმნელი ნოდარ ჩხეიძე და გურამ თიკანაძემ სურათიც გადაუღო ორივეს ერთად, რომელიც „მყინვართა ვეფხვის“ მეორე გამოცემას ერთვის. მერე თენსინგი შინ ეწვია გურამ თიკანაძეს, მის ერთ-ერთ მთავარ მასპინძელს.

12 მარტს გაზეთი „ლელო“ თენსინგის თბილისში ჩამოსვლას გამოეხმაურა პირველ გვერდზე დაბეჭდილი კორესპონდენციით „კავკასიონი ალპები არაა“:

„კვირას, 10 მარტს, თბილისში ჩამოვიდა ცნობილი შერპი მთამსვლელი, ჯომოლუნგმას გმირი თენსინგი ნორგეი. თბილისის აეროდრომზე მას გულთბილი შეხვედრა მოუწყო დედაქალაქის ალპინისტურმა საზოგადოებამ“.

შემდეგ გაზეთი წერს იმის შესახებ, რომ იმავე დღის 5 საათზე თენსინგი მიიწვიეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, სადაც მას ქართული ალპინიზმის ამსახველი დოკუმენტური ფილმები უჩვენეს. მას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია დოკუმენტური ფილმისათვის „სვანეთი“ და ერთ მომენტში ხმამაღლა წამოუძახია, — ზუსტად ისევე, როგორც ჩვენთან, ჩვენც ასე ვთიბავთ!

გაზეთი მოგვითხრობს იმის შესახებაც, რომ თბილისში ჩამოსვლამდე თენსინგი ქართველებთან ერთად იალბუზზე გასულა, მაგრამ „თერთმეტის თავშესაფრიდან“ უკან გამობრუნებულან უამინდობის გამო. იალბუზის დასალაშქრად თენსინგს ახლდნენ იოსებ კახიანი, მიხეილ ხერგიანი, ჯუმბერ კახიანი და სხვა ქართველი თმამსვლელები.

შემდეგ „ლელოს“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვა დაუსვა სტუმარს. აი, მისი პასუხი კითხვაზე, — „როგორი შთაბეჭდილება მიახდინა თქვენზე კავკასიონმა?“

— დაე, ნუ მიწყენენ მე ალპების თაყვანისმცემელნი, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა: კავკასიონი ალპები არაა. გაცილებით უფრო მრისხანე, ძნელად დასაპყრობი და ზვიადი მთიანეთია, რომელიც ყოველმხრივ ღირსეულ მიზანს წარმოადგენს რომელიც გნებავს მთამსვლელისთვის. როდესაც მე სამშობლოში ჩავალ, აუცილებლად გადავცემ თანამემამულეებს, რომ მსოფლიოში არსებობს კიდევ ერთი ბურბერაზ მთათა მასივი, რომელიც ძალიან ჰგავს ჰიმალაის, და რომ ეს კავკასიონია.

„ლელოს“ ამ პუბლიკაციას ახლავს ორი ფოტო: ერთში — თენსინგი ავტოგრაფებს აძლევს თბილისელ ალპინისტებს, მეორეში კი თენსინგი აღბეჭდილია ალექსანდრა ჯაფარიძის, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარის ოთარ გიგინეიშვილისა და ალპინიზმის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრის ევგენი გიპენრეიტერის გარემოცვაში, რომელიც მოსკოვიდან თან ახლდა თენსინგს.

ფოტოს ავტორი გაზეთში არ არის მითითებული, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ისინი გურამ თიკანაძის გადაღებულია.

თენსინგის თბილისში სტუმრობის ამსახველი რამდენიმე ფოტო გურამ თიკანაძის დედამ ტატიანა თიკანაძემ მაჩუქა, როცა 80-იანი წლების მიჯნაზე მე და ვახტანგ რურუა მასთან ერთად გურამის „100 ფოტოსურათის“ შედგენაზე ვმუშაობდით.

აი, ერთი მათგანი:

აქ აღბეჭდილია დახვედრა თბილისის აეროპორტში. თენსინგი სავარაუდოდ ოთარ გიგინეიშვილს ართმევს ხელს. ოთარ გიგინეიშვილი არ ჩანს, მას ფოტოგრაფი მიხეილ ზარგარიანი ფარავს თავის შლაპით. თენსინგის გვერდით ომარ ბერაძე და გურამ თიკანაძე არიან. მარჯვნივ კიდეზე კადრში ალექსანდრა ჯაფარიძეც მოხვედრილა სანახევროდ. მისგან მარჯვნივ დენიზა გოზალიშვილია — ქართული მთამსვლელობის ღვაწლმოსილი მემატიანე.

მე არ ვიცი, ვინ არის ამ ფოტოს ავტორი. სამაგიეროდ ვიცი, ვინ არის მეორის ავტორი — რა თქმა უნდა, გურამ თიკანაძე. აქ თენსინგს პატარა ია თიკანაძე უჭირავს ხელში.

ეს გაზეთი და ეს ფოტოები სხვა მრავალ საინტერესო მასალასთან ერთად ჩემს ბიბლიოზეუმშია დაცული. სხვათა შორის, სადღაც უნდა მქონდეს იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების სხვა ამონაჭრები თენსინგის საქართველოში სტუმრობის შესახებ, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, სწორედ ახლა, როცა დამჭირდა, ის საქაღალდე ვერ ვიპოვე.

რა უშავს, ტექსტი ისედაც კარგა დიდი გამოვიდა ფეისბუქის პოსტის კვალობაზე. თუმცა მხოლოდ დიდი და არც ისეთი დიადი, როგორც ეს დღევანდელ დღეს ეკადრებოდა.

გიორგი ჩუბინიშვილის რომანსებს დიდი წარმატებით მღეროდნენ



რომანსი მუსიკალური ჟანრის ერთ-ერთ საინტერესო მიმართულებაა. ქართული სარომანსო შემოქმედება XIX საუკუნის ბოლო წლებიდან იღებს სათავეს.

1888 წელს მელიტონ ბალანჩივაძემ შექმნა სამი რომანსი — „ოდესაც ბიცქერ“, „შენ ბეტრფი მარად“ და „ნანა შვილო“, რომლებმაც დასაბამი მისცეს კამერულ-ვოკალურ ჟანრს და რომანსის პირველ კლასიკურ ნიმუშად გვევლინებიან. მუსიკის ამ ჟანრს საინტერესო ნაწარმოებები მიუძღვნეს ზაქარია ფალიაშვილმა, დიმიტრი არაყიშვილმა, ია კარგარეთელმა, ანდრია ყარაშვილმა, კოტე ფოცხვერაშვილმა და სხვებმა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში თავისი გამორჩეული ხელწერით საკომპოზიტორო არენაზე გამოდის ნიჭიერი შემოქმედი და არა ერთი პოპულარული რომანსის ავტორი გიორგი ჩუბინიშვილი. იგი 1889 წელს დაიბადა მუსიკალური ტრადიციებით **განთქმულ ჩუბინიშვილების** ოჯახში. მამა, ილია გრიგოლის-ძე ჩუბინიშვილი ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავი შემსრულებელი და მცოდნე იყო. ძმებმა ზუბალაშვილებმა, ილია ჩუბინიშვილი, მათ მიერ 1908 წელს აშენებული „სახალხო სახლის“ (ამჟამად კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი) დირექტორად მიიწვიეს, რომლის შენობაშიც მისი ოჯახი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა. იმათ ოჯახში ხშირად იმართებოდა დაუვიწყარი საღამოები და შეხვედრები. პატარა გიორგი თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა, სადაც მას სიმღერას ზაქარია ფალიაშვილი და ზაქარია ჩხიკვაძე ასწავლიდნენ, ხოლო ვიოლინოში მისი პედაგოგი, ცნობილი კომპოზიტორი ანდრია ყარაშვილი იყო. სასიმღერო ხმის დამუშავების მიზნით გიორგი სამი წლის განმავლობაში მეცადინეობდა ქართული სიმღერის დიდ მოამაგესთან და ლოტბართან იოსებ რატლითან. ხმის დამუშავების მიზნით გიორგი უკვე 1910 წელს მოსკოვში ჩადის, სადაც ფილარმონიის მუსიკალურ-დრამატულ კურსებზე მისი ძმა ლევანი სწავლობდა. მოსკოვში ყოფნის დროს გიორგი რევოლუციურმა მოძრაობამ გაიტაცა, რისთვისაც გარკვეული პერიოდი მოსკოვის ბუტირკისა და თბილისის მეტეხის ციხეებში მოუხდა ყოფნა.



1911 წლიდან, როგორც მომღერალი (ჰქონდა ლირიკო-დრამატული ტენორი) გამოდის საქართველოს ქალაქებში, ასევე რუსეთში. იმ პერიოდისთვის გიორგი ჩუბინიშვილი ძველი რუსული რომანსებისა და ნეაპოლიტანური სიმღერების საკმაოდ ცნობილი შემსრულებელი იყო. 1914 წელს ჯარში გაიწვიეს. პოლონეთში დაიჭრა, ფეხი მოჰკვეთეს, სასიმღერო კარიერის გაგრძელება შეუძლებელი გახდა, რამაც გარკვეულ წილად განაპირობა გიორგის საკომპოზიტორო საქმიანობა. სწორედ აქ გამომჟღავნდა მისი განსაკუთრებული ნიჭი და უნარ-ჩვევები. იგი ქმნის მართლაც ბრწყინვალე ლირიულ რომანსებს და სიმღერებს: — „ამირანი“, „რა ტურფა, რა ლამაზია“, „ერთხელ კოცნა“, „რად გნახე“, „სევდა“, „ხმა გულისა“, „რისთვის მიყვარხარ“, „სატრფოვ“, „მუხამბაზი“, „სიმღერა“, „ვარდი“, „ოდეს გამშორდი“, „გინდ მეძინოს“, „დარჩი, ნუ წახვალ“ და უამრავი სხვა. კომპოზიტორმა 40-ზე მეტი რომანსი და სიმღერა შექმნა. მისი რომანსები პოეტურ ტექსტთან შერწყმის ისეთ ხარისხს ანიჭებს, რომ შეუფერხებლად იპყრობს მსმენელის გულს. მისი ვოკალური ლირიკა ქართულ ლიტერატურულ წყაროებზეა აღმოცენებული. ავტორი მიმართავს, როგორც ქართული პოეზიის კლასიკოსებს — ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა ფშაველას, აკაკი წერეთელს, გრიგოლ ორბელიანს, იოსებ გრიშაშვილს, სანდრო შანშიაშვილს, ასევე ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. მისი ნაწარმოებები უბრალო, გულში ჩამწვდომი ლირიზმით გამოირჩევა, მათში სიმღერისა და რომანსის დამახასიათებელი ნიშნები ერწყმის ერთმანეთს. ლირიზმი რომანსის ჟანრიდან მოდის და ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრულ სახეს ქმნის, ხოლო კუპლეტური ფორმა თხზულებას სიმღერის ჟანრისთვის დამახასიათებელ სილაღესა და უბრალოებას სძენს.

კომპოზიტორის რომანსები — „ვარდი“ და „ერთხელ კოცნა“ გენიალური ვანო სარაჯიშვილის საკონცერტო პროგრამის განუყოფელი ნაწილი იყო. ამ რომანსებს თითქმის ყველა კონცერტზე ასრულებდა ამ სტრიქონების ავტორიც. მის რომანსებს უდიდესი წარმატებით მღეროდნენ სანდრო ინაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, დავით ბადრიძე, ლადო გერმესაშვილი, თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე, მერი შილდელი, ანა ვარდიაშვილი.

„გიორგი ჩუბინიშვილს გააჩნია თავისი გამორჩეული ხმა, ფრფელი და ცოცხალი ინტონაცია, სათავეს რომ იღებს ქართული ხალხური მუსიკიდან. მას აქვს თავისი არაჩვეულებრივად მღერადი, კოლორიტული და ხატოვანი მელოდიური სამყარო, საიდანაც გამოსჭვივის პოეტური შთაგონება, რომანტიკული მღელვარება და ლირიკული სითბო“. — მანანა ახმეტელი, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე, გიორგი ჩუბინიშვილის შვილიშვილი.

მთელი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისსავე ლაღ, თავისუფალ, დაუდგრომელ და ინტერესებით სავსე ცხოვრებასთან. მას რაიმე სახელმწიფო, ოფიციალური სტატუსი არ გააჩნდა, გარდა ოპერის თეატრში ორი წელი დირექტორის მოადგილედ მუშაობისა — არ ყოფილა კომპოზიტორთა კავშირის წევრი, არ ჰქონია რაიმე სამთავრობო წოდება ან ჯილდო. იგი ჩვენი საზოგადოების, ხალხის მიერ იყო აღიარებული, მისი სიმღერები ხალხში გაისმოდა, რაც ყველა ჯილდოზე ღირებული და საამაყოა. სწორედ ეს კვებავდა და ასაზრდოებდა კომპოზიტორის სულიერ სამყაროს.

„მუსიკის ისტორიაში არა ერთი მაგალითის დასახელება შეიძლება, როდესაც შემოქმედება მისი ავტორის სიცოცხლესთან ერთად კვდება. ალბათ, ნიჭის იღუმალებაშია ის ძალა, უნარი რომ შესწევს დროის უკიდეგანო სივრცე გააპოს და მომავალს თვალი გაუსწოროს. გიორგი ჩუბინიშვილი იმ ბედნიერ ქართველ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის მუსიკამაც თავად უპატრონა საკუთარ თავს და ნახევარი საუკუნის შემდეგაც ხიბლსავსემ თავისი ეროვნული ფესვებით გაუძლო დროის გამოცდებს“, — ნანა ქავთარაძე.

კომპოზიტორის მუსიკალური ენა თვითმყოფადიცაა და ეროვნულიც. მასში გამოსჭვივის ქალაქური ფოლკლორის ორი შტო — დასავლური და აღმოსავლური. მათში ჩართულია საქართველოს მთის კილოკავებიც, რაც მუსიკალური ენის კოლორიტულობასაც განაპირობებს. ამ ფონზე იბადება გიორგი ჩუბინიშვილისეული საოცრად ხალასი და სუფთა ინტონაცია. კომპოზიტორმა პატრიოტული სულისკვეთებით უმღერა სამშობლოს („არწივი“), თავისუფლებას („ამირანი“), მშობლიურ ქალაქს, იგი პირველი სიმღერა „თბილისოს“ ავტორია, რომელიც თავისი ვაჟის ოთარ ჩუბინიშვილის ლექსზე დაწერა.

„დღევანდელი გადასახედიდან ცხადად ჩანს გიორგი ჩუბინიშვილის დამსახურებაც და მისი ადგილიც ეროვნულ მუსიკალურ კულტურაში. მართალია, ქართველ კომპოზიტორ — კლასიკოსებზე ზაქარია ფალიაშვილზე, დიმიტრი არაყიშვილზე და ნიკო სულხანიშვილზე უმცროსია, მაგრამ ამავე თაობის წარმომადგენელია თავისი მუსიკალური სტილისტიკითაც და ესთეტიკური იდეალებითაც. მათთან ერთად ისიც მონაწილეობდა ეროვნული საკომპოზიტორო აზროვნების, მუსიკალური ენისა და ფორმების ჩამოყალიბების პროცესში“ (მანანა ახმეტელი), აქედან გამომდინარე, როდესაც ყველასთვის ნაცნობ კომპოზიტორებს ვახსენებთ, იქ გიორგი ჩუბინიშვილის სახელიც უნდა იხსენიებოდეს, რადგან სხვა ყველაფერთან ერთად მისი მდიდარი მელოდიური სამყაროდან სათავეს იღებს ქართული საესტრადო სიმღერის გზა. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი მუსიკის ამ მეტად მნიშვნელოვან მიმართულებას.

რაც შეეხება გიორგი ჩუბინიშვილის პირად ცხოვრებას, მის შემოქმედებით საქმიანობას თანაუგრძნობდნენ და სტიმულს აძლევდნენ მეუღლე ანასტასია თაქთაქიშვილი, შვილები ქეთევანი და ოთარ ჩუბინიშვილები.

კომპოზიტორი 1945 წლის 11 ოქტომბერს გარდაიცვალა 56 წლის ასაკში, დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. გიორგი ჩუბინიშვილი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერ მოესწრო ოფიციალურ აღიარებას, თუმცა საკუთარი ნაწარმოებების გახალხურობის ბედი სრულად გაიზიარა.

სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს კომპოზიტორის ნაწარმოებების ნოტების სრული კრებულის „ხმა გულისას“ გამოცემა და 28 რომანსის და სიმღერის კომპაქტდისკზე ჩაწერა, რომლის სრულად შევსება მომავალში აუცილებლად მოხდება.

გელა ქოქიაშვილი,

ვოკალისტთა საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი, ქართული კულტურის ამაგდარი;

მწერალთა კავშირის წევრი; სიღნაღის საპატიო მოქალაქე.

ვახტანგ ვეფხვაძის უძვირფასესი საჩუქარი მკითხველს

თბილისის ბიბლიოთეკებსა და მედიათეკებს ქართველი კლასიკოსების წიგნები საჩუქრად გადაეცათ

თბილისის ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების წიგნის თაროებს აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის შემოქმედებისა და ცხოვრების ამსახველი წიგნები შეემატა.

თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების ინფორმაციით, სამივე დასახელების სამასამდე წიგნი საჩუქრად გადასცა მათი გამოცემის იდეის ავტორმა და გამომცემელმა — ვახტანგ ვეფხვაძემ.

კრებულები აერთიანებს სამი ავტორის შემოქმედების ნაწილს, ბიოგრაფიულ ცნობებს, პირად მიმოწერას, მოგონებებს, რეცენზიებსა და საგაზეთო სტატიებს.

„ალექსანდრე ბანძელაძე და აბსტრაქტული ხელოვნება“.



ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, ექსპოზიციაზე ალექსანდრე ბანძელაძის ნამუშევრებთან ერთად წარმოდგენილი იქნება: გელა ზაუტაშვილის, ილია ზაუტაშვილის, გია ეძგვერაძისა და ლუკა ლასარეიშვილის ნამუშევრები (სულ 26 ნამუშევარი), რომლებიც შერჩეულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და ეროვნული გალერეის ფონდებიდან.

ცნობილი ქართველი მხატვრის ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის (1927-1992), სახელი მჭიდროდ უკავშირდება ქართული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის განვითარებას. დავით კაკაბაძის შემდეგ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აბსტრაქტული მხატვრობის განვითარებაში და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართული ხელოვნების ახალ ეტაპს.

ა. ბანძელაძის მრავალმხრივ შემოქმედებაში დაზგური და კედლის მხატვრობისა და გრაფიკის უაღრესად საინტერესო ნიმუშებს ვხვდებით.

ექსპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი, გარდა 1958 წელს შრომის თემაზე შესრულებული გრაფიკული სერიისა (60-იანი წლების შემდეგ გამოიფინება პირველად), წარმოაჩენს ქართული აბსტრაქციონიზმის განვითარებას 1970-იანი წლებიდან, როდესაც ახალგაზრდა მხატვრებმა — გია ეძგვერაძემ, გელა ზაუტაშვილმა, ილია ზაუტაშვილმა და ლუკა ლასარეიშვილმა ალექსანდრე ბანძელაძის გავლენით დაიწყეს აბსტრაქტული ფორმების ძიება. მათი ნამუშევრები გამოირჩევა ექსპრესიით, ფერებისა და ფორმების დინამიკით, რაც წარმოაჩენს როგორც პერსონალურ სტილს, ასევე ერთიან მხატვრულ ტენდენციას.

გამოფენის მიზანია, ფართო აუდიტორიას გააცნოს ქართული აბსტრაქციონიზმის ევოლუცია, ალექსანდრე ბანძელაძის შემოქმედების გავლენა თანამედროვე მხატვრობაზე და მისი ხელოვნების მნიშვნელობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისათვის.

გამოფენა 6 აპრილამდე გასტანს.

არდავიწყება

კაცი, რომლის უპირველესი საზრუნავი სამშობლო იყო...

უდიდესი გულისტკივილით და მწუხარებით ვიუწყებით, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გიზნესმენი, მეცენატი და საზოგადო მოღვაწე **გოგი თოფაძე.**

თბილისის 49-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვებისა და ქიმიური მრეწველობის ფაკულტეტზე გააგრძელა, შემდეგ დაამთავრა ორგანული ქიმიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა და დისერტაციის დაცვის მერე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა.

ის გულთა და სულით იყო ბიზნესმენი, მეწარმე, აქტიური მოქმედების კაცი, ამიტომაც, როგორც კი გარკვეულ თეორიულ ცოდნას დაეუფლა, სათავეში ჩაუდგა საპნის ქარხანას, იყო საწარმო გაერთიანება „თბილ-ლუდის“ გენერალური დირექტორი, ლილოს ლუდის ქარხნის დირექტორი.

1994 წელს გოგი თოფაძემ უზარმაზარი ძალისხმევით ლუდის კომპანია „ყაზბეგი“ დააარსა.

ლუდი „ყაზბეგი“ იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული პროდუქცია, რომელიც საზღვარგარეთის ბაზრებზე ქართული სამარკო ნიშნით გავიდა.

1999 წელს გოგი თოფაძემ მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად შექმნა პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. პარტიამ იმავე წელს პარლამენტის არჩევნებში ხმების გარკვეული რაოდენობა მოიპოვა. გოგი თოფაძე როგორც მე-5, ასევე მე-6 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი გახდა.

2005 წელს იგი ევროპის სავაჭრო პალატის პრეზიდენტად აირჩიეს. ის გახლდათ ქართველ ბიზნესმენთა შორის პირველი, რომელიც მეცენატის ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

გოგი თოფაძე 1995 წლიდან იყო სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, 1999 წლიდან საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და შემდეგ პრეზიდენტი.

თავი გამოიჩინა როგორც შესანიშნავმა მთხრობელმა და მწერალმა, რისთვისაც წიგნისთვის „თხილამურებით მთაში“ სახელმწიფო პრემია მიენიჭა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

გოგი თოფაძე გახლდათ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 20 სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოს და 3 წიგნის ავტორი.

მან როგორც ქველმოქმედმა და ხალხზე უზომოდ შეყვარებულმა ადამიანმა, დააფუძნა „გოგი თოფაძის საქველმოქმედო ფონდი“. ეს ფონდი, საქველმოქმედო მიზნებით, ყოველწლიურად რიცხავდა მილიონამდე ლარს საქართველოს განათლების, ჯანდაცვის, კულტურის და სპორტის სფეროს განვითარებისთვის. გოგი თოფაძის სახელობის სტიპენდიით სარგებლობდნენ ქართველი სტუდენტები საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით, ასევე, მეცნიერები, კულტურის მუშაკები და ოლიმპიური ჩემპიონები. „გოგი თოფაძის საქველმოქმედო ფონდი“ წლების განმავლობაში გასცემდა თანხებს ეკონომიურად შეჭირვებული ავადმყოფების ოპერაციებისა და მკურნალობისთვის.

2010 წელს თვითმმართველობის არჩევნებში თბილისის მერობის კანდიდატად კენჭისყრაში მიიღო მონაწილეობა.

2012 წელს კი, როცა პოლიტიკაში ახალი ძალა გამოჩნდა, გოგი თოფაძე „ქართული ოცნების“ გვერდით დადგა. 2012-16 წლებში ის იყო პარლამენტის წევრი საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნებიდან“.

ის იყო შეუპოვარი ხასიათის ადამიანი, მშვენივრად იცოდა რა საქმიანობის ყველა ეტაპზე რამხელა წინააღმდეგობების გადალახვა მოუწევდა, არასდროს ყოფილა მშიშარა, მრავალგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, საკუთარი თავის, ოჯახის, ბიზნესის არაერთხელ რისკის ქვეშ დაყენების მიუხედავად, არასდროს გადაუხვევია არჩეული გზიდან, არასდროს დაუყენებია საკუთარი ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. მისთვის ყოველთვის უპირველესი პრიორიტეტი იყო საქართველო.

გოგი თოფაძე იყო უაღრესად კეთილშობილი, ყველაზე მზრუნველი, მოსიყვარულე ადამიანი, საიმედო მეგობარი და თანამებრძოლი.

დიდია მისი გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება, რადგან ვემშვიდოებებით ჩვენი ქვეყნის დიდ პატრიოტსა და ღირსეულ კაცს.

ღმერთმა ნათლის სხივით გაანათოს მისი სული ზეციურ საქართველოში.

მეგობრები

გოგი თოფაძე

საქართველოს მეწარმეებს დიდი მოჭირნახულე და გულშემატკივარი პიროვნება **გოგი თოფაძე** გამოაკლდა. ყოველგვარი მაღალფარდოვნების გარეშე – ადამიანი, რომელმაც შექმნა მეწარმეთა პარტია – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – ქვეყნის სიძლიერისათვის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის, ადამიანების დასაქმებისათვის. მოვიშველიებთ დიდი რეზო თაბუკაშვილის სიტყვებს – „იყო შენს სპეციალობაში მაღალი რანგის პროფესიონალი – ეს უკვე პატრიოტიზმია“. სწორედ ეს სიტყვები ესადაგება ამ არაჩვეულებრივ კაცურ კაცს, რომელმაც დაგვიტოვა მეგობრობის, გვერდზე დგომის, სიყვარულის, ქველმოქმედების არაერთი მაგალითი.

განსაკუთრებულად გვახსოვს როგორ გაითავისა ჩვენი დარგის პრობლემები. არასოდეს დაგვავიწყდება მისი ყურადღება უამრავი გამოწვევის დროს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – მალხაზ დოლიძე,

პურპროდუქტების მინისტრის ყოფილი მოადგილე – იური ოსიპოვი,

სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი – ომარ კაჭარავა,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პურპროდუქტების ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელი – ლევან ჯიბუტი.

ნაძალადევის რაიონის პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ სამძიმარს უცხადებს თოფაძეების ოჯახს შესანიშნავი პიროვნების, ღვაწლმოსილი მეწარმის

გოგი თოფაძის

გარდაცვალების გამო

რაიონის პარტიის ყოფილი თავმჯდომარე მალხაზ დოლიძე,

მეწარმე და სპორტის დამსახურებული მოღვაწე რომან რურუა,

რაიონის პარტიის მდივანი ციცო ბაკურაძე.

ნარკომანი და ალკოჰოლით მთვრალი მძღოლები!

ადამიანები ნარკოტიკული თრობის ქვეშ მართავენ საქალაქთაშორისო ტრანსპორტს და გადაჰყავთ მოქალაქეები!

„საქალაქთაშორისო გადაყვანის კანონი, რომელიც მიიღო ქვეყანამ, ძალიან მალე უნდა ჩაეშვას და იმედი მაქვს, ეს მძღოლები იქნებიან გაკონტროლებული,“ – ამის შესახებ რადიოგადაცემაში „საქმე“ ფონდ „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დირექტორმა ირაკლი იზორიამ განაცხადა.

ზოგადად, ავტომობილის მართვა ნასვამ მდგომარეობაში წლების განმავლობაში პრობლემად რჩებოდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა სახელმწიფომ, გაემკაცრებინა მიდგომა და შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული პატიმრობა. შესაბამისად, თუ აღმოაჩენენ, რომ ადამიანი განმეორებით მართავს ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილს, მას 5-დან 15 დღემდე პატიმრობა ემუქრება. თუმცა ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი, 20 ათას ადამიანს ჩამოერთვა მართვის მოწმობა, იმის გამო რომ ნასვამ მდგომარეობაში მართავდა მანქანას. ასეთი მძღოლი პოტენციურად მოქალაქეებს ხიფათის წინაშე აყენებს.

სწორედ ამ სტატისტიკიდან გამომდინარე, ვეთანხმები რომ უნდა გამკაცრდეს რეგულაციები. ჩვენი მოთხოვნაა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო, მძღოლს მართვის მოწმობა არა 6 თვით, არამედ 1 წლით ჩამოერთვას. ბევრი ევროპული ქვეყანა მიდის იქითკენ, რომ მსგავს ქმედებაზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდეს, რადგან კანონმდებელი ფიქრობს, რომ თუ ნასვამი ზიხარ საჭესთან, პოტენციური მკვლელი ხარ. აქედან გამომდინარე, ძალიან მკაცრი მიდგომები არსებობს და ვფიქრობ რომ ამ საკითხს ჩვენც მკაცრად უნდა მივუდგეთ. არ ვართ მრავალმილიონიანი ერი, რომ ერთმანეთს არ გავუფრთხილდეთ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაახლოებით 3 წელია საერთოდ არ ხდება გადამოწმება ნარკოტიკულ საშუალებებზე, ბევრი მძღოლი ნარკოტიკული თრობის ქვეშაც იმყოფება და ეს არანაკლებ დიდი პრობლემაა. სისხლის სამართლის მიმართულება ითვალისწინებს ამ ადამიანების პასუხისგებაში მიცემას, რადგან ნასვამ მძღოლზე არანაკლებად საშიშები არიან ეს ადამიანები,“ – განაცხადა ირაკლი იზორიამ.

ვულოცავთ!

კაცი — ცხოვრების მაგალითი

საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის – შპს „საქგზამეცნიერებას“ შრომითი კოლექტივი დიდი პატივისცემით და სიყვარულით ულოცავს დაბადებიდან 93-ე წლისთავს (19 თებერვალს), ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარეს, თბილისის და ბათუმის საპატიო მოქალაქეს ბატონ თამაზ ანდროს-ძე შილაკაძეს და უსურვებს მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ შემოქმედებით მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის და მისი მრავალრიცხოვანი დინასტიის, მეუღლის, ორი შვილის, სამი შვილიშვილის და ხუთი შვილთაშვილის საკეთილდღეოდ.

ბატონო თამაზ, თქვენ ბრძანდებით შესანიშნავი, სიცოცხლით სავსე, ყურადღებიანი და მზრუნველი ოჯახის წევრების, მეგობრების, კოლეგების და ახლობლების მიმართ, თქვენ ვალმოხდილი ბრძანდებით როგორც ჩვენი საზოგადოების ისე თქვენი დინასტიის ყველა წევრის მიმართ და თქვენ ხართ ცხოვრების მაგალითი როგორც ჩვენთვის ისე მათთვის.

ბატონო თამაზ! კიდევ ერთხელ გილოცავთ წლევანდელ იუბილეს და დიდი სიყვარულით ველოდებით დიდ საუკუნოვან იუბილეს.

ჩვენი კოლექტივი თქვენს გვერდითაა.

შპს „საქგზამეცნიერებას“ თანამშრომლები

საქართველოს საინჟინრო აკადემია გულითადად ულოცავს დაბადების დღეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, საგზაო-სატრანსპორტო სისტემების და ინფრასტრუქტურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს ბატონ თამაზ ანდროს ძე შილაკაძეს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს ბატონ თამაზ შილაკაძეს სხვადასხვა წლებში მიღებული აქვს უმაღლესი სამეცნიერო და საპატიო წოდებები, სახელმწიფო ჯილდოები. გამოქვეყნებული აქვს 152 სამეცნიერო-ტექნიკური ნაშრომი, ავტორია მრავალი გამოგონების. მას დიდი წვლილი მიუძღვის საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების პრობლემების შესწავლასა და ინოვაციური მეთოდების დამუშავება – დანერგვაში.

ვულოცავთ ბატონ თამაზს, გასაოცარი ოპტიმიზმით გამორჩეულ ადამიანს ამ განსაკუთრებულ თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ახალ წარმატებებს მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელებაში.

საქართველოს საინჟინრო აკადემია

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ფბ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,
არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმობეჭდილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

იწყება მცხეთის ჯვრის მთავარი ტაძრის ინტერიერის კონსერვაცია



მცხეთის ჯვრის მთავარი ტაძრის ინტერიერის კონსერვაციის პროექტი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრიდან მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელდება.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, 2024 წელს შემუშავდა მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის ინტერიერის კონსერვაციის პროექტი, რომელიც იმავე წლის აგვისტოში შესაფასებლად გაიგზავნა **UNESCO**-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში.

პროექტი ითვალისწინებს როგორც ინტერიერის კვლევას, ასევე ძეგლის საერთო სტრუქტურული მდგომარეობის შესწავლას.

ტაძრის ფასადის ქვის საკონსერვაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციას სააგენტო **UNESCO**-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრიდან ტაძრის ინტერიერის კონსერვაციის პროექტზე მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად შეიმუშავებს.

ერთადერთი ქართველი ონკოპაციენტი, რომელიც სტივ ჯობსის პროგრამისთვის შეარჩიეს

ონკოპაციენტმა ნატალია პაჭკორიამ სიცოცხლისთვის ბრძოლა პირველივე წუთიდან დაიწყო – დაიწყო ტრადიციული მედიცინის წესებით. იყო 2 ურთულესი ოპერაცია, რომელსაც შეეწირა რამდენიმე ორგანო, შემდეგ იყო 75 ქიმიოთერაპია.

მაშინ კლასიკურმა მედიცინამ საკუთარი რესურსი ამოწურა და ექიმებმაც მხოლოდ 2 თვის სიცოცხლე უწინასწარმეტყველეს. ამბობს, რომ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და საკუთარი სხეული სტივ ჯობსის კიბოს სამკურნალო ექსპერიმენტს დაუთმო.

საუკუნის უკურნებელი სენის წამლის შესაქმნელად, ოჯახმა ექსპერიმენტული მკურნალობა ადამიანების ვიწრო ჯგუფზე მას შემდეგ დაიწყო, რაც სტივ ჯობსი პანკრიასის სიმსივნით გარდაიცვალა. პროგრამის მონაწილეებს შორის ერთადერთი ქართველი, სწორედ ნატალია პაჭკორიაა.

მკურნალობის მეთოდი მკაცრად გასაიდუმლოებულია. პაციენტები პროგრამას სრულ ნდობას უცხადებენ, ნატალიას შემთხვევაში შედეგი გასაოცარია.

ნატალია პაჭკორია არის ერთადერთი ქართველი ე.წ. ელჩი, მედიცინის ისტორიის ახალი ფურცლის ჩანაწერში.

როდესაც ნატალია საბოლოოდ დაამარცხებს ვერაგ დაავადებას, ეს იქნება ახალი ერა და იმედი სხვა პაციენტებისთვის, რომ ისინიც გადარჩებიან.

ითალიაში „მიცვალებულთა ქალაქი“ აღმოაჩინეს

ითალიის ტრენტინოს პროვინციაში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს თითქმის 3,000 წლის წინანდელი მონუმენტური ნეკროპოლი, რომელიც სრულყოფილად არის შენახული.ეს ნეკროპოლი თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის IX-VI საუკუნეებით და მდებარეობს ტრენტოს ქალაქში, ადიჯეს მდინარის მახლობლად.

ადგილმდებარეობის უნიკალური ბუნებრივი პირობების გამო, ნეკროპოლისი განსაკუთრებულად კარგად არის დაცული, რაც არქეოლოგებს საშუალებას აძლევს ზუსტად აღადგინონ ადრეული რკინის ხანის საზოგადოების სამარხი პრაქტიკები.

ნეკროპოლისში აღმოჩნდა ვერტიკალურად განლაგებული მრავალი სამარხი სტელა, რომლებიც სუბპარალელურ რიგებად არის ორგანიზებული. სტელები აღნიშნავენ ქვის კასეტებში მოთავსებულ კრემაციის ნაშთებს,რომლებიც შეფუთული იყო ქსოვილში და ასევე დამაგრებული გახლდათ ქინძისთავებით.

აღმოჩენილი არტეფაქტები, მათ შორის ლითონის იარაღები და ორნამენტული ობიექტები, კულტურულ კავშირებზე მიუთითებს იტალიურ გარემოებებთან. ეს ნეკროპოლისი ახალი ინფორმაციის წყაროა ადრეული რკინის ხანის საზოგადოების შესახებ და მნიშვნელოვანი აღმოჩენაა არქეოლოგიური კვლევებისთვის.

თუშეთის დაცული ლანდშაფტი 2 245 ჰექტრით გაფართოვდა

საქართველოს პარლამენტმა „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი 84 ხმით, მესამე მოსმენით ერთხმად მიიღო.

კანონპროექტში ცვლილების შეტანის საფუძველზე თუშეთის დაცული ლანდშაფტი 2 245 ჰექტრით გაფართოვდა და, დღეისათვის, 34 280 ჰექტარს შეადგენს.

კანონპროექტის თანახმად, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ფარგლებში მოექცა სოფელი ტბათანა მიმდებარე ტერიტორიით და ჩამოყალიბდა ტბათანას დაცული ლანდშაფტის უბანი. აღნიშნული წაახალისებს ტბათანას მდგრად განვითარებას, ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, უნიკალური კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნებას და ეკოტურიზმის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში შექმნილია სხვადასხვა კატეგორიის 100 დაცული ტერიტორია; მათი საერთო ფართობი 927 751 ჰექტარს შეადგენს, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 13.3%-ია.

**გაზეთის
მომდევნო
ნომერი
გამოვა
პარასკევს,
21 თებერვალს**